


75
1906
შობი

N1

№1

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

საბავშვო



საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

იანვარი

1906



შობის ხეებით ვაჭრობა ტფილისის სასულიერო სემინარიასთან.

ნაპად უღო

საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეორე



მოზრდილთათვის

№ I

289

იანვარი

1906



ტფილისი
ელექტრონის სკოლა წიგ. გამოცე. ქართ. აზნაგობისა
1906

შენაარსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1. მეკვლე.—ლექსი ვაკე- ლისა	3	იტალიის განმათვისუ- ფლებელი.—ვასო ღამბა- შიძისა	42
2. გულკეთილი ნიკო.— კანდუკილისა	5	9. ფაზიკა და ქამაა.—ნ. ღამაურისა.	49
3. ოხ, ნეტავ არ გამომღვი- ძებოდეს.—ვასო ჯაფარი- ძისა	11	10. მეფე გაორგა მესამე.— დ. კარიჭაშვილისა.	56
4. მეჯოგე.—ივალი.—აღ. შიარანაშვილისა.	17	11. გასართობი.— შობის ხის მორთვა	66
5. ნაძვა.—თბზ. ანდერსე- ნისა აღ. შკუდლიშვილისა.	20	12. ანდაზება და გამოცა- ნება.— ა) თილისშიანი რიცხვი ბ) გამოცანა გ) შარადა.— დ) რებუსი და ნაკადულში მოთავსებუ- ლი წერილები წარსული წლისა	70
6. საახალწლო.— (ლექსი) თამაშვილისა	32		
7. ბედნიერების გემა.— თ. კა—კისა	34		
8. ჯუზეპო გარაბაღალი,			

ამ წლის პირველ იანვრიდან „ნაკადული“ გამოდის
ახალის რედაქციით.

ხელის მოწერა შეიძლება:

რედაქციაში და „წ. კ. გ. საზოგადოების“ კანცელარიაში. და მ. ი.
დემურიას სახლში ალექს. № 5. ქალაქს ვარეთ ჩვენს აგენტებთან
ბაქოში: ანეტა ევანისთან და ნ. დეკანოზიშვილთან; **ქუთაისში:** კოლ-
ხილის, საზოგადოებაში, კნ. ბარბარე წერეთლისას და ანნა დადემშქ-
ლიანთან; **ბათუმში:** მარიამ ელიავასთან, კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და
იანე რაჭველთან; **სოხუმში:** კნ. ტერეზია შერვაშიძესთან და ნიკო თავ-
დგირიძესთან; **ახალციხეში:** სვიმონ ხეთისხეაიაშვილთან; **გორში:** თამარ
და ნინო ლომაურებთან და კნ. ელენე ერისთავისას; **ფოთში:** იაკობ ფან-
ცხეასთან და კნ. ვლადიმერ სვიმონის-ძე აბაშიძესთან; **ჭიათურაში:**
ირაკლი დეკანოზოვთან; **სამხერეში:** ყარაშან ჩხეიძესთან; **ერევანში:**
მარიამ ფავლენიშვილთან.

„ნაკადულის“ მარმანდელი მთელი წლის
ნომრები იყიდება **საშ** მანეთად



მეკვლე



მეკვლე ვარ, ახალს წეჭიწადს
 გილოცავთ გახარებულნი!
 უწინამც თვალი დაბრუნდეს,
 თუ გნახეთ გამწარებულნი.



ახალი ტაბლა მიჭირავს
 მრავალ ფრად შეხავებული;
 ნორჩი ცხოვრებაც თან მომდევს
 ახლის სიტკბოთი შემკული.

ტაბლას დევს თავისუფლება,
 ვით თათლი ეგრე ტკბილია;
 ამ სიტკბოებით დაბერდით
 თქვენა და თქვენი შვილია!

აქვეა მშობა, ერთობა
და შათთან სიყვარულია,
ამ სამებისგან იყავით
ბედნიერებით სრულია!

საქართველოს
საბავშვო
საზოგადოებრივი
სამსახური

გზაკელი





გულკეთილი ნიკო



აღამდა!.. თოვლის კორიანტელი უფრო აირია ჰაერში. დიდრონი თეთრი ნაფლერთები ბამბის ქულასავით ეფინებოდა დედა მიწას, ხალხს თეთრ ჩაღრში ჰხვევდა.

პატარა ნიკო სირბილით ჩავიდა გოლოვინის პროსპექტზე და უდარდელის ლილინით გაუდგა გზას სალდათის ბაზრისკენ. ნიკო ჯერ ყასაბ გიორგასთან უნდა მისულიყო და ორი გირვანქა ღორის ხორცი წამოეღო ნისიად, მერე გზაზე ნავთი და მარილი ეყიდნა და შინ მიეტანა.

ნიკოს მამა არა ჰყავდა. დედა იმისი, მაიკო, გავარჯიშებული იყო უბრალო საბნების კერვაში, დღესაც უნდა მიეღო საბნის შესაკერი მანეთ ნახევარი, მაგრამ ათი შაურის მეტი ვერ მიიღო. იქიდან დაბრუნებულმა გზად ნაცნობ ყასაბს გამოუარა, ხორცი უნდა გამოერთმია, მაგრამ სასაკლაოდან მოტანილი არა ჰქონდათ და აი, ამ საღამოთი იმიტომ გაგზავნა შვილი.

— ხურდა კი არ დაჰკარგო, შეილო, დააბარა დედამ, თავზე მოხვეული ყაბალახი უკან წელზე შეუკრა, მისკა ხელში თუნუქის პატარა სანავთე და გაისტუმრა.

ნიკო შეილის წლისა იყო, მაგრამ ერთხელაც არ ახსოვს ეცელქნოს და ეთამაშნოს ისე, როგორც სხვა მეზობლის ბავშვები თამაშობდნენ. სამის წლისა იყო, მამა რომ მოუყვდა და იმ დღიდან გამოცდილ ამხანაგივით ამოუდგა დედას გვერდში და მასთან ერთად ითმენდა შიმშილსა და წყურვილს, სიცხესა და სიცივეს. ნახევრად შიშველ-ტიტველი, მშიერი ბავშვი ბევრჯერ მთელის დღეობით მარტოკა იჯდა და დედას ელოდებოდა. კარგად იცოდა, დედა ამ დროს წელში მოხრილი ჩაჰკირკიტებდა სხვის საქმეს, რომ ორიოდ გროში აეღო და შინ მოეტანა. ისიც კარგად იცოდა ნიკომ, რომ თუ დედა ვერაფერს დაუტოვებდა სადილად თავის ნიკოს, თითონაც არასა სკამდა, თავის კერძ სადილს შეინახავდა, საღამოს მოიტანდა თან და მთელი დღის მშიერ შეილთან ერთად ისადილებდა. ბევრჯერ ძალას დაატანდნენ მაიკოს, — სკამე და შინაც გაგატანთო, მაგრამ ვერ დაითანხმებდნენ.

ბავშვი კარგად ხედავდა ყველა ამას, იცოდა, რომ დედის კისერზე იყო სახლის ქირა, კამა-სამა, ჩაცმა დახურვა და ამიტომ, რაც შეეძლო, ხელს უწყობდა საყვარელ დედას. იჯდა შინ ჭკვიანად, სწერდა და კითხულობდა ანბანს და სახლს დარაჯობდა. აი, ამ საშინელს თოვლ-სუსხში, ჩვეულებრივის სიმკვირცბლით დაეშვა თავდაღმისკენ. მირბოდა, შიშვლეროდა პატარა ბიჭუნა და თითებ წაგლეჯილ შალის ხელთათმანებიან ხელს ხშირად მიიტანდა ცხვირ-პირთან, თანაც სირბილში ხტუნვას გამოუჩვენებდა ხოლმე.

გაუსწორდა არტისტიულ საზოგადოების სადგომს და უცებ შეჩერდა. გაჩაღებულ მალაზიებიდან გამოშპრქყვიანე ნიეთეულობამ თვალი მოსტაცა პატარას. ნიკომ საჩქაროდ გადაირბინა მეორე მხარეს, შეერია ლაზათიანად ჩაცმულ-დახურულ მოსეირნე ხალხში და თავისდა უნებურად შეჩერდა მშვენიერად გაჩაღებულ სადგომის შესავალთან. ხალხი

ბლომად აღიოდა და ჩამოდიოდა ამ სახლის განიერ კიბეზე და შეკარენიც ზრდილობიანად ეგებებოდნენ და აცილებდნენ შემსვლელ-გამომსვლელთ. ყველა როგორღაც ალტაცებით ელაპარაკებოდა ერთი მეორეს, ყველას სახეს განსხვავებულ სიხარულის ბეჭედი ემჩნეოდა, მხოლოდ ერთი მოხუცი, მღუ-მარედ ჯოხზედ დაყრდნობილი და ქულ-მოხდილი იდგა ამ კიბის ძირში და ვედრების გამომეტყველ თვალით აჭხედ-და-ხედავდა ხოლმე ყველას, მაგრამ თხოვნას-კი ვერა ჰხედავდა, ალბად, ერიდებოდა ამ ბედნიერთა ერიამულში უბედურის კენესის ხმა არ გამომხდარიყო...

დიდხანს იყო გაჩერებული უძრავად, დიდხანს აყოლებდა ყველას თვალს, დიდხანს ელოდდა მოწყალებას, მაგრამ ამაოდ...

პატარა ნიკოს ფიქრი ბრკე-ვიალა საგნე-ბიდან ძონძე-ბით მოსილ მოხუცზე გა-დავიდა. კარგა ხანს უყურა ამ კაცს, მერე შე-ვიდა შიგნით, მიუახლოვდა მოხუცს და წყნარად ჰკი-თბა, აქ რას აკეთებო.



— არაფერს, შეილო, მო-წყალებას ვე-ლოდები, მაგ-

რამ... ნაღვლიანად სთქვა მოხუცმა, ღრმად ამოიოხრა და პირი იბრუნა კარში გამოსასვლელად. ნიკოს საშინელმა სიბრა-

ლულმა აუვსო გული. გადაავიწყდა ყველაფერი, მოუფიქრებლად გაუწოდა მოხუცს ათ შაურიანი, ერთი კი შეჭხედა თვალებში და საჩქაროდ გავიდა ქუჩაზე.

II

— რასა დგებარ, ბიკო, და აღარ მიღიხარ, ე ხორცი ხომ მოგეცი, გასწი, რაღა!— შესძახა კარებთან ატუზულ ნიკოს ყასაბმა გიორგამ და თან თავი აუქნია გზისაკენ. ბავშვი ადგილიდან არ იძვროდა.

— გინდა რამე?— კიდევ განუმეორა ცოტა ხანს შემდეგ ყასაბმა, რადგან ასე ეგონა შემოსასვლელ კარებში გასჩხირებია ვისმეო.

— ჰო!.. ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა ბავშვმა და ძირს დაიხედა, თან რაღაცას ბუტბუტებდა და ლაპა-ლუპით ჩამოსდიოდა კრემლები...

ამ დროს ყასბის დუქანთან ეტლი გაჩერდა. კოპწია ყმაწვილი კაცი მარდათ გადმოხტა ეტლიდან და რაღაც ჩაჭკითხა ეტლში მჯდომარე ახალგაზრდა ქალს.

— მოეცა კარებიდან, რას დამდგომიხარ და ზუზუნებ!.. მრისხანედ შესძახა ყასაბმა ნიკოს და მდაბლად მიესალმა ეტლიდან გადმოსულ ყმაწვილ კაცს.

— კნიაზს ვახლავართ! რას გვიბრძანებთ, კნიაზ-ჯან?

— ეს ვინ არის, ან რაღა სტირის? პასუხის ნაცვლად იკითხა ყმაწვილმა კაცმა.

— ეს ერთი ქვრივი დედაკაცის შვილია, დედას ათშაურიანი გამოუტანებია რამეების სასყიდლოდ და ამასკი მათხოვრისთვის მიუცია. შემებრალო... ტუტუცია რაღა... აი, მე ხორცი მივეცი კიდევ, მებრალება, რას იზამ... კვებნითა სთქვა გიორგამ, თითქო მუქთად ეჩუქებინოს.

— საწყალი!.. სიბრალოელით სთქვა ყმაწვილმა კაცმა, ჯიბისკენ ხელი წაიღო და მიუახლოვდა თავჩაღუნულ და დარცხვენილ ბავშვს.

— შენ ძალიან კეთილის გულისა ყოფილხარ, ჩემო პატარავ! აჰა, მაგიერად ეს შენა გკონდეს... ნუ სტირი, იყიდერაც გინდა... ლმობიერად უთხრა და მოლიმარის სახით გაუ-




წოდა ნიკოს ხუთ მანეთიანი ოქრო. როდესაც სიბრაულით გონება აბნეულმა ნიკომ თითებ წაგლეჯილ ხელთათმანიანი მთრთოლვარე ხელი მოკრძალებით გაუწოდა ფულის გამოსართმევად, ყმაწვილ კაცს ღიმილის ნაცვლად საშინელი სიბრალოელი გამოებატა სახეზე... იმის თვალწინ აშკარად გამოჩნდა სისაწყლე და უარარაობა მთელის თავისის სისასტიკით...

— მაშო, აბა შენ ტკბილეული უზიარე ამ საცოდავს— გასძიბა ეტლში მჯდომ ქალს ყმაწვილმა. ქალმა საჩქაროდ

დახსნა ქალაღდის დიდრონი პარკები და ყველა პარკიდან უხვად ამოიღო სხვა და სხვა ტკბილეულობა. აღტაცებულმა ნიკომ ხელად შემოიხსნა თავზე მოხვეული ყაბაღანი, ჩამყარა ყველაფერი ერთად და სიხარულით გასწია შინისკენ, აღარც ნავთის ყიდვა მოჰგონებოდა და აღარც მარილისა...

განდევილი.





ოხ, ნეტამც არ გამოძღვიებოდეს!

(საშობაო მოთხრობა)

I



ი, დაიქცეს იმის ოჯახი, ვინც ე რეზინის შინები მოიგონა! სწავლააო! სწავლულები ბევრ რასმე სასარგებლოს იგონებნო! რაეცი, შვილოსან, ე ღარიბი კაცის სასარგებლო კი არა გამოიგონეს რა და, მდიდარი ხომ ისეც მდიდარია და მდიდარი! აბა ერთი მითხარი, ჩემო ივანე, ვისთვის გამოიგონეს ე რალაც რეზინის შინებია? მდიდრებისათვის, რა არის არ შესწუხდნენო და რბილად დაბრძანდებოდნენო. ერთმა სულელმა გაუკეთა ფაიტონს რეზინის შინები, და ყველამ იმას წაბაძა, მაიმუნებივით. ვინც გაიკეთა შინებიანი თვლები, იმას შემოსავალიც კარგი აქვს, ხალხი სულ იმათ ეტანება, ჩვენ კი, ღარიბ მეფაიტონეებს, ვისაც

რკინის შინები გვაქვს, ზედაც აღარავინ გვაფურთხებს. დღისით ქუჩაში ველარ გამოვსულვარ, ყველა მასხარად მიგდებს, რკინის ფაიტონი გააქვსო. შარშან მეც კარგი გულგინა ვიყავი, ფაიტონიც კარგი მქონდა, წრეულს კი ხალხის თვალში აღარც მე ვარგივარ, აღარც ჩემი ფაიტონი. ეხ, რას იზამ კაცი, როგორც დრო იცვლება, ისე ხალხი. მეც ავდექი და, დღისით რომ აღარაფერი საშოვარი მქონდა. ი ოხერი რეზინის ფაიტონების გამო, ღამე დავიწყე მუშაობა. სხვები რომ შუალამისას სახლში ბრუნდებიან მოსასვენებლად, მე მაშინ ვაბამ ჩემ რკინის ფაიტონს და რაბრახით გამოვდივარ ქუჩაში, რა არის იქნება ვინმემ ან თრიატიდან, ან კლუბიდან, ან არა და გასტინიციდან გვიან ბრუნდებოდეს სახლში, ჩემ ფაიტონს მოხვდეს დი ორი გროში ვიშოვნო მეთქი... ტყუილა კი არ მიძახიან მეზობლები ღამურას. ეხ, გაქირდა ცხოვრება, ჩემო ივანე, გაქირდა, რაქნას საწყალობა კაცმა.

— მართალს ამბობ, ჩემო გოგია, მართალს, მეც შენ დღეში ვარ. მეც შენსავით ღამურა ვარ. დღისით ვერც მე გამომიყვია თავი ამ ოხერ ქალაქში. იმ დღეს დილით შევაბი ფაიტონი და გასაკეთებლად მიმქონდა. უნდა გეყურებინა, რა ნაირ მასხარად ამიგდეს მეფაიტონეებმა.

„ივანე, საიდან გამოიწერე ფაიტონი და ცხენებიო... შენია, თუ სხვისაო.. მაგრა დაუქი თავი, არ დაფრთხნენო... მალი-მალ იძახე „ხაბარდა!“, არავინ გაატანინო და პოლიციაში არ წაგიყვანონო და ვინ იცის კიდევ რას არა როშავდნენ. საწყალი ჩემი ცხენები, როგორც მე მშივა, ისე იმათ, ჯანზედ ველარ მოსულან, სულ ღასლასი გაუღით. ხაბარდა! არავინ გაატანინოო! ეხ, ნეტავ ჩვენ როდისლა ვაგვითენდება, ჩემო გოგია!

— რაეცი, ჩემო ივანე, ამბობენ თავისუფლება მოვიდაო, ქვეყანა ხარობდა, დიდი და პატარა ქუჩა-ქუჩა დადოდა. მეც გამოველ ქუჩაში, ბევრი ვეძიე, ვათვალეიერე, მაგრამ გარდა დახოცილი ძუძუ შწოვარა ბავშვებისა, მოხუც და ჯეღლებისა იმ თავისუფლებაში ვერა ვნახე რა. იძახდნენ,

ებლა გაგვითენდაო, მაგრამ ე ჩემთვის კი არ გათენდა და: როგორც ხედავ, ისევ ღამურად დავრჩი. ჯიბე ცარიელი და კუკ-ამომხმარჩი. აი, ხვალ-ზევით შობაა, და ბავშვები ტიტვლი-კანები დამიღიან, ვერა უყიდე რა, იქნება ამალამ და ხვალ ღამ რამე ავიღო და რითიმე გავახარო დაბეჩავებული ცოლ-შვილი.

— ეი, ფაიტონ! მოესმათ გოგისა და ივანეს. ტკილად მოუბარი მეზობლები და ამხანაგები ერთ წამ საშინელი მოჭიშპენი შეიქნენ. იმ წამს რომ მათვის შეგვხედნათ, ვერ წარმოიდგენდით, თუ ისინი ერთი ერთმანეთის მცნობნი და მეგობრები იყვნენ. ორთავემ გააქანეს ეტლები იქით, საიდანაც ხმა მოესმათ. გოგია უფრო ბედნიერი გამოდგა: იმან გაუსწრო ივანეს. ივანემ დაატყო, რომ ბედმა უმტყუნა და გააჩერა ეტლი. გოგიამ კი შეაჩერა ეტლი იმ ადგილს, სადაც ცოლ-ქმარი უცდიდნენ.

— მობრძანდით, ბატონებო! თავაზიანად მიიპატოცე გოგიამ ცოლ-ქმარი. ერთ წუთში გოგიას გაუელვა თავში: „ეტყობათ, მდიდრები არიან; თორმეტ საათს გადაცილებულია, ორი ზომა უნდა მომცენ; არ იქნება, ცოტა კიდევაც არ მაჩუქონ. იქნება ერთი მანეთიანიც მომცენ!“

ცოლქმარნი გაემართნენ ეტლისაკენ. მივდნენ თუ არა ეტლთან, ცოლი, რომელიც წინ მიდიოდა, უცებ შედგა, ტუჩები აიწია, მოუბრუნდა ქმარს და ტირილის კილოთი შესჩივლა:

— მიშელ, რეზინისა არა ყოფილა, რკინისაა.

— ნეტავ, რას დაეთრევიან ეს რკინის ეტლები! საკვირველია, პოლიცია ყურს არ უგდებს ესეთ სისამაგლეს და ქუჩაში უშვებს ამ მაწანწალებს. ხვალვე პოლიციაში გავაცხადებ, რომ პატიოსან ადამიანს ნაშუალამევეს ქუჩაში არ გაეველება. რეზინიანი ეტლები შინ მიღიან და ჩვენ კი რკინის ღამურების ამარი ვრჩებით. შენ, ეი, რა ნომერი გაქვს?

გოგიას გული ჩასწყდა. თუმცა ოცნებისაგან გამოერკვა, მაგრამ რალაც გარინდებული იღვა და უყურებდა „პატიოსან ადამინებს.“

— არ გესმის, ილიოტო, რომელი ნომერი ხარ მეტი? შეპყვირა პატროსანმა გოგიას და წაუქნია ჯოხი.

— ილიოტი შენა ხარ! მიაძახა გოგიამ, ინსტიტუტურად შემოპკრა შოლტი ცხენებს და გაეშურა წინ.

— Вот, нахалъ გაჯავრებით წამოიძახეს ცოლქმარმა, გაუყარეს ერთმანეთს ხელი და ფეხით წაბრძანდნენ შინისაკენ. გოგია გაჯავრებული მიაქროლებდა ეტლს. ივანე შურით უყურებდა მიმავალ გოგიას ეტლსა.

— უუ, თქვე საძაგლებო, თქვენა! ვერ გაადგამდით ცოტა უფრო მარდათ ფეხებს, ხომ მე წავიყვანდი იმათ! და ერთიორი ლაზათიანად გადაუსვა თავის გამხმარ ცხენებს კიდევ უფრო გამხმარი შოლტი. ის კი არ იცოდა ივანემ, რომ გოგია ცარიელ ეტლს მიაქროლებდა.

გოგია შეჩერდა ერთ სასტუმროს წინ. იცოდა, რომ იქ ნშირად ბანქოს თამაში იყო ხოლმე. იმედი ქონდა, გამოვიდოდა ვინმე და ჩაჯდებოდა იმის ეტლში. შუალამე კარგა გადასული იყო. სიცივემ უმატა. ცხენებს ზურგზედ ორთქლი ასდიოდათ. გოგია მოკუმშული ჩაჯდა ეტლის კოფოში, ნელ-ნელა თვლენა დაიწყო, და სულ იმ შემთხვევაზედ ფიქრობდა. „რეზინისა არა ყოფილა! რეზინი! რეზინი!“ და ჩაეძინა კიდევაც...

II

შობა დღეა. ყველა ხარობს. დიდი და პატრა ფაცა-ფუცშია. სხვებს გოგიას ცოლიც არ ჩამორჩენია. დილა ადრიანადგა, სამოვირი დადგა, თაროდგან გადმოიღო მსუქანი ინდაური, დასდო სინზედ, გარს დათლილი კართოფილი შემოაულაგა და გაგზავნა ფურნეში შესაწვავად. კილობნიდგან ნახუქები, ერბო და ყველი ამოიღო, მაგიდაზედ დაალოგა და ჩაის მზადებას შეუდგა. იმის ახალ „ბაშმაკებს“ კრაქა-კრუკი გაუდის. გოგია ხედავს თავის ფოფოს კმაყოფილ სახეს, ხედავს, როგორ სასიამოვნო მუსიკას შეადგენს იმის ცოლისთვის ეს

ქრატა-ქრუტი და თვითონაც დიდ კმაყოფილებასა გრძნობს. ცოტა ხნის შემდეგ იმისი ბავშვებიც გაიღვიძებენ, დაქვეტენ თვალებს და პირველად ადელხანოვის ბრკვერიალა ჩუსტებს დაინახავენ.

— არ კი გითხარი, დედა-კაცო, რომ ღმერთი ღარიბ კაცს არ დააგდებს შეთქი. ხედავ რამოდენა ფული ვიშოვნე, შენც მოგიმადრიელე და ბავშვებიც.

— ეგ მე მიმადლოდე, თორემ ვნახავდი, როგორც მოგვიმადრიელებდი. სულელი ხარო, მეუბნები ხოლმე. სულელი მე კი არა, შენა ხარ, რომ მე სულელადა მთვლი. მე რომ არ შეყაირათნა, დღე და ღამე არ გამესწორებინა, შენ რეზინის შინებს ვერ იყიდდი, შენი რკინის ბრახუნა ფაიტონით ვერავის მოიმადრიელებდი და ვერც კუქს გაგვიძღობდი. ხედავ, ისევ სულელი დედა-კაცის ქკუამ აჯობა შენ ქკუას.

— უი, შენ კი გენაცვალე ამ შობა დღეს მაგ ნათელ ლოყებში, ჩემო ქკუიანო გვრიტო! რახან ეგეთი ქკვიანი მყევხარ, დღეს საყდარში საკუთარი ფაიტონით წაგასხამ. აბა უყურე ღამურას, როგორი ფრენა სკოდნია დღისითაც. უყურე როგორ თამამად გადავხედო ყველა ეტლებს? აბა ჩქარა, ნულარ აგვიანებ.

გოგია შევიდა თავლაში, გამოიყვანა ცხენები და შეაბა ეტლში; დღეს პირველად ნახა თავის ცხენები დამადარნი. ბლომად მიცემულ ქერს, მშვენიერ გუნებაზე დაეყენებინა ცხენები. ერთმა მათგანმა ყურები დაკქვიტა და ნავარდიც კი დააპირა.

ეტლი მზად იყო. გოგიამ ჩაიცვა და დაუჯდა ეტლის კოფოზედ; ცოტა ხანს შემდეგ მისი ცოლშვილიც გამოვიდა და ჩაჯდა საკუთარ ეტლში. გოგია ამაყად გამოვიდა ქუჩაში. ამ დროს იმას მოაგონდა თუ როგორ დასცინოდნენ მას, „ხაბარდა, არავინ გაიტანოვო“; გული მოუვიდა, ველარ მოი-


თმინა, შემოჰკრა შოლტი ცხენებს და რაც ძალი და ღონე
ჰქონდა შეტყვირა: „ხაბარდაა!“

— რა გო-
ლრიალებს,
ამ შუალა-
მისას, შე
დურაკო.
მიადახაპო-
ლიციელმა
გოგის და
წაჰკრა
ხმლის ქა-
რქაში.

დაფეთი-
ანებული
გოგია ზე-
ზედ წამოვარდა...

მამლები სადღაც ძალზედ ყიოდნენ. საშინლადა ციოდა.
გოგია სიცივისაგან გათოშლიყო. გადახედა გოგიამ თავის
მშვიერ ცხენებს, რკინის შინებს და გულნატკენად წამოიძახა:
„ოხ, ნეტამც არ გამოძღვიებოდესო!“

ვასო ჯაფარიძე.



მ ე ჯ ო გ ე

• • • • •



რთ მწყემსს დიდი ცხენის ჯოგი ებარა. ჯოგში სხვა-და-სხვა ჯიშის ცხენები იყვნენ: ზოგი უზარმაზარი ტანისა, ზოგი სულ პატარა. ლამაზსა და ძვირფასებს ხომ ნულარ იტყვი — მტრის თვალით არ ინახვებოდა, ისე მრავლად ერივნენ მასში საუკეთესო ღირსების ტაიქნი.

მეჯოგე შეტად სუსტი და შეუფხებელი გამოდგა: ვერ გაუძღვა ამოდენა ჯოგს; არ ესმოდა, რას ერქვა კაი მოვლა და რა იყო საჭირო ჯოგის წარმატებისათვის. რა ადგილსაც ზაბხუ ლობით მწყემსობა ერჩინა, იქ ჯოგს ზამთარში მიერეკებოდა; სადაც ზამთრობით უჯობდა, იქ ზაფხულობით დაჰყავდა; კლდე-ღრეზე ღამით ატარებდა, ვაკეზედ დღისით აძოვებდა; როცა სიფხიზლე ჰმართებდა, ის ძილს მაშინ ეძლეოდა; როცა საშიში არა იყო-რა, ის თვალს მხოლოდ მაშინ გაახელდა.

რასაკვირველია, ამისთანა მწყემსის ხელში ჯოგი საშინლად დაზიანდა: სად ცხენები მგელმა დაგლიჯა, სად კლდეზედ გადიხებნენ; ზოგი დაშავდა, ზოგი სიმშლიისაგან სრულიად წუთისოფელს გამოესალმა. გამრავლების მაგიერად ჯოგი ისე შემცირდა, რომ ნასამედიც აღარ დარჩა და ისიც — ვაი იმ

დარჩომას: ერთი კოკლი, ძეორე ბრმა, მესამე უკუდო... და
სულ საერთოდ დამშეულ-დაჯანდაკებულნი.

გადარჩენილმა ცხენებმა ერთხელ ძალ-ღონე მოიკრიფეს,
მივიდნენ თავისს მწყემსთან, გარს შეპოვებინენ და ასეთის
საყვედური მიჰმართეს:



— იკმარე ამდონი ჩენი მოთმინება! ღამის სრულიად
ამოვწყდეთ; შენ-კი სცხოვრობ უზრუნველად და ჩენს ტან-
ჯვით სავსე სიცოცხლეს არხეინად შემოსტკერიო.

— ვფიცავ გამჩენს, — მიუგო მეჯოგემ, — თქვენს გარემო-
ებას კარგად ვხედავ; გული მიკენესის, სული ყელში მნებჯა-
ნება და, რომ ვიცოდე, რა გზით გეშველებათ, თქვენთვის
თავსაც არ დავზოგავდიო.

— არც შენ დაგვირდებოდა ჩვენთვის თავის გაწირვა,
ჩვენც ნაშველი შევიქნებოდით, — მიუგეს ცხენებმა, — ერთი
მცირე სურვილი რომ აგვისრულოო.

— რაო?

— მოდი, ჩვენ პატრონობაზედ ხელი აიღეო.

აღ. მირიანაშვილი





ნ ა მ კ ი

თხ. ანდერსენისა.



ყველა ერთს მყუდრო აღგილას, სადაც ჰაერიც ბევრი იყო და სინათლაც საკმარისი, მშვენიერი ნაძვი იდგა. გარშემო მეზობლებად ნაძვისავე ნათესავი ხეები იდგნენ—ნაძვი, ფიჭვი და სხვანი. მზის სითბო და სუფთა ჰაერი ნაძვს ფიჭვადაც არ მოზლიოდა. სულ იმის გონებაში იყო, თუ როდის იქნება გავიზარდო და დიდებში გავფერიოო. ყბედ გლეხის—ბიჭებს, რომელიც იქვე ტყეში მარწყვსა და მაყვალსა ჰკრეფდნენ, ხომ ყურსაც არ უგდებდა. გაავსებდნენ კალათებს ბიჭები ან აასხავდნენ ჯოხებზედ თითქოს ელარუნებიაო, და ჩამოსხდებოდნენ იქვე ნაძვის ქვეშ დასასვენებლად.

— უჰ, რა მშვენიერი ნაძვია! პაწაწკინტელა, კოჩორა! გაიძახოდნენ ბიჭები.

ამისთანა ლაპარაკი არაფრად ეპიტნავებოდა ნაძვის ხეს.

გავიდა ერთი წელიწადი და ნაძვს მოემატა ერთი სალსარი. გაიარა მეორე წელიწადმაც და მეორე სალსარიც მოემატა. ამ სალსრებით შეიძლება გაიგოს ადამიანმა, თუ რამდენი წლისაა ხე.

— ახ, ნეტა სხვა ხეებსავეთ დიდი ვიყო, იმხნა ნაღვ-ლიანათ ნაძვი. მაშინ უყურე, როგორ გავეფართხავედი განზე ტოტებს. ავიწვედი მალლა კენწეროსა და დავინახავდი გარშემო მიდამოს. ფრინველები გაიკეთებდნენ ბუდეებს ჩემს ტოტებში. ნიაფი რომ დაჰბერავედა, მეც დიდრონ ხეებსავეთ შედიდურად დავიწყებდი თავის ქნევას.

არავითარს სიამოვნებას არ ხედავდა, არც მზის სხივებში, არც ჩიტების მრავალ ჰანგებიან გალობაში და დილა-სალამოს ვარდის ფრად გაღადღადებულ ღრუბლებს ხომ ხედაც არ უყურებდა.

ზამთარი იყო. დედა-მიწას ბქვერიალა თოვლის ზეწარი გადაჰფარებოდა. სად იყო სად არა, სკუპ, სკუპ! გაიბრუნდა კურღლეული და ზოგჯერ ზედ თავზედ ნაძვს გადააბტებოდა — რა შეურაცხყოფაა! გაიარა ორმა ზამთარმა და მესაშეზედ კი იმდენად გაიზარდა ნაძვი, რო კურღლეული იძულებული იყო მისთვის გზა აეჭკია.

„ეჰ, გავიზარდო, გავიზარდო და ჩქარა გავხდე მეც დიდი, პატივისსადები ხე. ნეტა რა იქნება ამაზედ მეტი ბედნიერება! — ფიქრობდა ნაძვი.

ყოველს შემოდგომით მოვადრდნენ ხოლმე ტყეში შეშის მომჭრელები და დიდრონ ხეებს სჭრიდნენ. ვეებერთელა მოკრილი ხეები ქექა-ქუხილით დაეცემოდნენ ხოლმე მიწაზედ. ამის დანახვაზედ ნაძვს შიშისაგან კანკალი მოსდიოდა. მერე ხეებს გასხვევავენ და ეყარნენ ასე შიშველ-ტიტველნი მიწაზედ გაძაბულები, თითქოს ქიაყელები არიანო. ველარც კი იცნობდა კაცი ამ ხეებს. შეშის მჭრელები დააწყობდნენ მარხილებზედ და გაზიდავენ ხოლმე ტყიდან.

სად მიაქვთ? რად მიაქვთ?

გაზაფხულზედ, როცა მერცხლები და ყარყატები მოფრინდნენ, ხემ ამათ მიმართა კითხვით:

— არ იცით, ნეტა, სად წაიღეს ის ხეები? გზაში ხომ არსად არ შეგხვედრიათ?

მერცხლებმა არა იცოდნენ რა, ერთი ყარყატი კი დაფიქრდა, ჩაიქნია თავი და სთქვა:

— ჰო, მგონი მე ვნახე! ზღვაზე, ეგვიპტედან მომავალი მრავალი გემები შემხვდა. გემებს მშვენიერი, მაღალი ანძები ჰქონდათ და სულ ნაძვისა და ფიქვის სუნით უდიდოდან სწორედ ისინი იქნებოდნენ.

— ახ ნეტა მეც ჩქარა გავიზარდო და მოუსვა ზღვისკენ! როგორია ზღვა, რასა ჰგავს, ჰა?

— ეჰ, ეგ გრძელი ამბავი გამოვა! უაპასუხა ყარყატმა და გაფრინდა.

— იხარე შენი სინორჩით! ეჩურჩულებოდნენ ნაძვს შვის სხივები. დასტები შენი ჯანმთელობით, ახალგაზღობით და ცხოვრების ძალ-ღონით.

ქარი ეამბორებოდა, ნამი უხვად აფრქვევდა ზედ ცრემლებს, მაგრამ ნაძვისთვის ამას არავითარი ფასი არა ჰქონდა.

შობა მოახლოვებული იყო, როდესაც რამდენიმე სრულიად ახალგაზდა ნაძვის-ხე დასქრეს, მათ შორის ზოგ ზოგი უფრო პატარა იყო, ვიდრე ჩვენი ნაძვის ხე, რომელსაც ასე ძალიან უნდოდა ჩქარა გაზრდა. რა ლამაზები იყვნენ დაქრილი ხეები! გაუსხვეპავები დაყარეს მარხილზედ და გააძუგძუგეს ტყიდან.

— სად მიაქვთ? იკითხა ნაძვმა. ყველა თითქმის ჩემი ტოლები არიან, ერთი ჩემზედ პატარაა. ან რატომ არ გასხვიპეს? სად წაიღეს ნეტა?

— ჩვენ ვიცი! ჩვენ ვიცით! დაიკრიბკრიბეს ბელურებმა. ქალაქში ვიყავით და ერთს ფანჯარიდან შევიქუიტეთ! ვიცით საცა წაიღეს. ისეთ პატივში ჩაცვივდებიან, რო რალა ვთქვათ. თბილ ოთახში დასდგამენ, ააყვავებენ სხვა და სხვა მშვენიერ ნივთებით: ოქროს ფრად დავარაყიანებულ ვაშლებით, თათლის პურებითა და უთვალავ სანთლებითა.

— მერე?.. ჰკითხა ნაძვმა, რომელსაც სიამოვნებისგან ტოტები უთრთოდა. — მერე?.. მერე რალას უშვრებიან?

— მერე, სხვა არა გვინახავს რა! მაგრამ საუცხოვო კი იყო.

— იქნება ჩემი ბედისწერაც ესეთი ბრწყინვალე იყოს! უხაროდა ნაძვს. ზღვაში ცურაობას ესა სჯობიან! ნალველმა

და მოუთმენლობამ ლამის არის დამადნოს! ნეტა ჩქარა მოვიდეს შობა! ეხლა მე ისეთივე მაღალი და გაფურჩხული ვარ, როგორც შარშან დაქრილი ხეები. აჰ, ნეტა ეხლა მარხილზე ვიღო! ნეტა ეხლა თბილს ოთახში ვიდგე ტურფად მორთული მშვენიერი ნივთებით! მერე რაღა იქნება?.. ეტყობა, მერე უფრო უკეთეს ყოფაში ვიქნები, თორემ ასე რად მომრთავდნენ!.. მაგრამ, სახელდობრ რა? უჰ, რა მოწყენილი ვარ, როგორ მინდა აქედან თავის დაღწევა! მეც არ ვიცი, რა მომდის!

— იხარე ჩვენი! უთბრეს ჰაერმა და შზის სინათლემ. დასტკბი სიცოცხლით და თავისუფლებით!

დღითი დღე იზრდებოდა ნაძვი და სიხარული კი ფიქრადაც არ მოსდიოდა. ზამთარ-ზაფხულს ამწვანებულ იდგა და ვინც კი შეხედავდა, ყველა ამბობდა: „სწორედ, რომ მშვენიერი ხეა“.

აი შობაც მოახლოვდა და ყველზედ უწინ ჩვენი ნაძვი მოსკრეს. მწვავე ტკივილმა და ნაღველმა ერთიანად დაუკარგა მომავალი ბედნიერების წარმოდგენა. ნაღველიანათ ეთხოვებოდა მშობელ ტყეს და თავის აღმზღელ კუთხეს; კარგად იცოდა, რო თავის სიცოცხლეში ველარა ნახავდა საყვარელ ამხანაგებს-ნაძვეებსა და ფიქვებს, ბუჩქებს, ყვავილებს... იქნება ჩიტებიც ველარ დაენახა. უჰ, რა მძიმე და ნაღველით სავსე იყო იმისთვის ეს გამოთხოვება!



გონს რომ მოვიდა, ნახა რომ სხვა ხეებთან ერთად სად-
ღაც ეხოშია და გაიგონა თავის ახლო ვილაცის ხმა:

— მშვენიერი ხეა! აი სწორეთ ჩვენც ამისთანა გვიჩნდა!

ორმა მორთულმა მოახლოვდნენ აიღეს ნაძვის ხე და შეიტა-
ნეს ვეებერთელა დარბაზში. დარბაზის კედლები მორთული
იყო სურათებით; დიდ ბუხრის თავზედ ელაგა სხვა და სხვა
ჩინური კურკელი, ზოგიერთას, სახურავებზე ლომები იყო გა-
მოსახული. აქა იქ ელაგა სარწებელა-სავარძლები, აბრეშუმ
გადაკრული გრძელი სავარძლები, დიდრონი მაგიდები, რომ-
ლებზედაც დაგროვილი იყო ალბომები, წიგნები და სათამა-
შოები, როგორც ბავშვები იძახდნენ, რამდენიმე ასს დაღე-
რათ*) ღირებული. ნაძვის ხე ჩასვეს ქვიშით გაესილ კასრში,
შემოავლეს მწვანე ფარჩა და დადგეს კრელ ხალიჩაზედ. უნ-
და გენახათ, როგორა თრთოდა სიამოვნებისაგან ნაძვის ხე!
ახლა რაღა მოეღის, ნეტავ? აგერ შემოვიდნენ მოსამსახურეები
და დაუწყეს მორთვა. აგერ ტოტებზედ ჩამოჰკიდეს ფერადი
ქალღიდან განოქრილი პაწაწკინა ტკბილეულობით სავსე
ბადეები; ჩამოაბეს დავარაყიანებული ვაშლები და კაკლები.
დაიწყეს ქანაობა ჩამოკიდულმა კუკებმა—ნეტა როგორა გვა-
ნან ადაიანს, თითქოს ცოცხალი ცაცუნები არიანო. ამისთა-
ნები ნაძვის ხეს თავის დღეში არ უნახავს! ბოლოს, მიაკრეს
ტოტებზედ მრავალი ფერადი სანთელი და გაუკეთეს კენწე-
როზედ დიდი ოქროს ვარაყიანი ვარსკვლავი. ისეთი საუც-
ხოვო რამ გამოვიდა, რომ თვალები აგიქრელდებოდა, რო
შეგებდნა.

— ეე, როგორ განათდება და გაკაშკაშდება ნაძვის ხე,
სანთლებს რომ ანათებენ! იძახდა ყველა.

აჰ, ნეტა ჩქარა მოვიდეს საღამო და სანთლები აანთონ!
ფიქრობდა ნაძვი. შემდეგ რაღა მომეღის? ნეტავ ხეები ხომ
არ მოვლენ ჩემ სანახავად? იქნება ბელურეებიც მოფრინდნენ

*) დაღერი—შვედური ვერცხლის ფულია, ღირებული 28¹/₂ კაპე-
რიამდე.

ფანჯრებთან? ან იქნება ფესვები გავიდდა ამ კასრში და ზამთარ ზაფხულ ესე მოკმაზული ვიდგე?

დიალ, ბევრი რამ იცოდა!... ბევრი ლოდინით საწყალს ქერქი ასტკივდა. ქერქის ტკივილი ხეს იმავე მწუხარებას აყენებს, რასაც ჩვენ თავის ტკივილი.

აი სანთლებიც აანთეს. რა ბჭყვრილაა, რა მშვენიერება! ნაძვმა სიამოვნებასგან თრთოლვა დაიწყო, ერთმა სანთელმა მწვანე ნემსები შეუშუშა. უჰ, როგორი ეტკინა საწყალს.

— ვაი, ვაი! დაიძახეს ქალებმა დასაჩქაროდ ცეცხლი ჩააქრეს.

ამის შემდეგ შეშინებული ნაძვი ველარა ჰბედავდა გატოკებას. ვერა ჰბედავდა უფრო იმისთვის, რო არ უნდოდა სამკაულიდან რაიმე დაჰკლებოდა. აჰ ბედნიერებამ თავს ბრუ დაჰხვია უბედურს... უცბად გაიღო კარი და ჟივილ-ხივილით შემოაცვივდნენ ყმაწვილები. ისე დაეხვივნენ ხეს, თითქოს უნდათ წააქციონო! მერე დარბაისლურად შემოვიდნენ უფროსები. ბავშვები ერთ წაშს გაიუმდნენ, მხოლოდ ერთ წუთას, მაგრამ მერე-კი ისეთი ჟივილ-ხივილი და წივილ-კივილი ასტებეს, რო ყურთა სმენა აღარ იყო: ბავშვები მზიარულად თამაშობდნენ ნაძვის გარშემო. ხიდან ნელ-ნელა ყველა საჩუქრები ჩამოწყვიტეს.

— რას სჩადიან! ნეტა რას ნიშნავს ესა? ფიქრობდა ნაძვი.

დამწვარი სანთლები ჩააქრეს და ბავშვებს ნება მისცეს, რო ხიდან ყველა ტკბილეულობა და სამკაული ჩამოეგლიჯათ. რომ უყურო, ისეთი წიოკობით დაეცნენ ხეს, რო ტოტებს სულ ჯახა-ჯუხი გაჰქონდათ. კენწეროთი რო ქერში არა ყოფილიყო მაგრა მიბმული, სწორედ ყირამალა გადააკოტრიალებდნენ.

შემდეგ ბავშვებმა დაიწყეს ისევ ცეკვა-თამაში: ყველას მაგრა ჰქონდათ ხელში ჩაბლუჯული თავთავის უცხო საჩუქრები. ნაძვის ხეს ზედაც აღარავინ უყურებდა, მოხუცებული ძიძის გარდა, ისიც იმას ათვალთვრებდა ხომ არსად დარჩა ვაშლი ან ინდი-ხურმაო.

— ზღაპარი გვითხარ, ზღაპარი! დაიძახეს ბავშვებმა და მოაცუხცუხეს ნაძვის ხესთან მსუქანი დაბალი ტანის კაცი. ისიც ჩამოჯდა ხის ქვეშ და თქვა:

— იჲ! თითქოს ტყეში ვართო! აი ნაძვის ხეც დაუგდებს ყურსა! მხოლოდ ერთი ზღაპრის მეტს კი არ გეტყვით! რომელი ზღაპარი გინდათ:

ივედე-ავედე თუ კლუმპე-დუმპეზე რომელიც თუმცა კი-ბიდან ჩამოგორდა, მაგრამ სახელი მოიპოვა და მეფის ქალიც შეირთო.

— ივედე-ავედესი! დაიძახეს ბავშვებმა.

— კლუმპე-დუმპესი! ყვიროდნენ მეორები. ასტყდა ერთი ღრიანცელი. მხოლოდ ნაძვის ხე იდგა გაჩუმებული და ფიქრობდა: „ნუ თუ მეკი აღარაფერში ვარ გამოსადეგო?“

ამან უკვე მოიშორა თავისი ვალი.

კაცმა უამბოთ კლუმპე-დუმპეს ზღაპარი, რომელიც თუმცა კიბეზედ დაგორდა, მაგრამ სახელი მოიპოვა და მეფის ქალიც შეირთო.

ყმაწვილებმა დაჰკრეს ტაში. „კიდეე, კიდეე! ყვიროდნენ ბავშვები. უნდოდათ, რო ივედე-ავედეს ზღაპარიც გაეგოთ, მაგრამ კლუმპე-დუმპეს სინაბარას დარჩნენ.

მშვიდად, დაფიქრებული იდგა ნაძვ-ს ხე. ტყის ფრინველებისაგან თავის დღეში არ გაუგია ამისთანა ამბავი. „კლუმპე-დუმპე კიბეზედ ჩამორახჩახდა, მაგრამ მაინც მეფის ქალი შეირთო! აი თურმე რაები ხდება ქვეყანაზედ!“ ფიქრობდა ნაძვი. ეს ამბავი სჯეროდა ნაძვს, რადგანაც ამისთანა პატივცემულმა პირმა სთქვა. „ვინ იცის, იქნება მეც მომიხდეს დაგორება კიბეზედ და მეც მეფის ქალი ვიშოვო“. მეორე დღეზედ რო ფიქრობდა სიხარულით ცას ეწეოდა: კიდე ასე გააჩაღებენ სანთლებათ, მორთავენ სათამაშოებით, ოქროთი და ხილეულობით. „ხვალ არამც და არამც არ გავინძრევი! შინდა სავსებით დავსტკებ ჩემი დიდებითა. ხვალ კიდეე გავიგებ კლუმპე-დუმპეს ზღაპარს, ან იქნება ივედე-ავედეს ამბავიც გავიგო!“ ამ ტკბილ ოცნებებში გაატარა მთელი ღამე ნაძვმა:

მეორე დღეს დილით დარბაზში შემოვიდნენ მოსამსახურეები. „აი ეხლავე დაიმიწყებენ შორთვას!“ იფიქრა ნაძვმა, მაგრამ ასწიეს, გაიტანეს ოთახიდან, აათრიეს კიბეზედ და შიშველად დასველეს ჩარდახის ბნელ კუთხეში, სადაც ვერც ერთი მზის სხივი ვერ უწევდა.

„ეს რას ნიშნავს?“ ფიქრობდა ნაძვი. „აქ რა უნდა გავაკეთო? ხომ ვერას დავინახავ და ვერც არას გავიგებ?“ მიეყუდა კედელს და დაიწყო ფიქრი... საკმარისი დრო არა ჰქონდა თუ: ისე გადიოდა დღეები და ღამეები, რო არავის ცალი თვალითაც არ მიუხედნია ნაძვის კუნკულისაკენ. ერთხელ ვილაცაები ავიდნენ ჩარდახში, დააწყეს რაღაც ყუთები, მაგრამ ხე შორს იდგა, და ზედაც არ შეხედეს, მგონი ყველამ დაივიწყა.

„ეხლა ზამთარია, ფიქრობდა ნაძვი, თოვლი ძვეს და მიწა ყინვისაგან გათოშილია; სჩანს მიწაში ჩემი ჩარგვა ჯერ არ შეიძლება, ამიტომ გაზაფხულამდის მიხდება სართულის ქვეშ ყოფნა. რა ბრძნული მოფიქრებაა! რა კეთილია ადამიანი! აქ რო ასე არა ბნელოდეს და ასეთი საშინელი მოწყენილება არ იყოს, კიდევ ფიქრი არ არის!... ერთი კურდღელიც არსად არის!... ტყეში კი რა მზიარულობა იყო! გარეშემო თოვლია დაფენილი, ზედ კურდღლები დახტიან! ეჰ, კარგი იყო... ისიც კი, რო თავზედ გადამახტებოდნენ ხოლმე, თუმცა კი ძაანა მწყინდა!.. აქ კი რა მოწყენილებაა!

— მწუ, მწუ! უცბად დაიწრუწუნა თავგმა და გამოხტა სოროდან, ამს მოჰკუნენ რამდენიმე სხეებიც. დაიწყეს ბღვლარძა-ბღვლურძით ხტუნაობა ნაძვის ტოტებში და თან სუნავდნენ.

— უჰ, რა ცივა! თქვეს წრუწუნებმა. რომ არა ციოდეს, ისე არა უჭირს რა; არა, ბებერო ნაძვო?

— ბებერი რად ვიქნები? მიუგო ნაძვმა. ჩემზედ უფროსი ხეები ბევრნი არიან.

— სადაური ხარ, ან რა იცი ქვეყნიერებისა? ჰკითხეს თავგებმა; წრუწუნები მეტად ცნობის მოყვარენი იყვნენ.

გვიამბე, სად უფრო კარგი ადგილია დედამიწის ზურგზედ? ჰყოფილხარ როდისმე საკუქნაოში, სადაც თაროებზედ ყველებია ჩამწკრივებული და ქერში კიდევ ლთარები მკვიდია? ამბობენ, ქონის სამთელებზე შეიძლება ბუქნაობა გამართოს ადამიანმაო? გამხდარი, ჩამომხმარი შეხვალ იქა და იქიდან კი გასუქებული გამოხვალ!

— არა, მე მაგისტანა ადგილი არ ვიცი! თქვა ხემ. მაგრამ ტყე კი კარგად ვიცი, სადაც ანათებს მზე და გალობენ ფრინველები!

ხემ დაწვრილებით უამბო თავის სიყმაწვილე: წრუწუნებს თავის დღეში ამგვარი არა გაუგიათ რა, მოუსმინეს ბოლომდე და სთქვეს:

— რამდენი რამ გინახავს! რა ბედნიერი ყოფილხარ წინად!

— ბედნიერი? სთქვა ნაძვმა და დაიწყო ფიქრი იმ დროზედ, რომელზედაც ეს არის ეხლა ლაპარაკობდა. ჰო, ურიგო ცხოვრებაში არ ვიყავი!

მერე უამბო ის სალამო, როდესაც ასე უცხოდ იყო მოართული თავლის პურებითა და სანთლებით.

— ოჰ! თქვეს წრუწუნებმა. რა ბედნიერი ყოფილხარ, ბებერო ნაძვო!

— სულაც არა ვარ ჯერ ბებერი! იწყინა ნაძვმა. მხოლოდ ამ ზამთარსა ვარ გამოტანილი ტყიდან. ეხლახან ავიყარე ტანი.

— რა მშვენიერადა ლაპარაკობ! თქვეს თავგებმა და მეორე ღამეს ოთხიკ სხვა მოიყვანეს, რომლებსაც უნდოდათ ყურა დაეგდოთ ნაძვისათვის. თითონ ნაძვი კი რამდენიც უფრო ბევრს ლაპარაკობდა ამაზედ, იმდენად უფრო ცხადად ეხატებოდა თავის წარსული. ბევრი კაი დრო გამიტარებიაო, ფიქრობდა საცოდავი.

— კიდევ დაბრუნდება წარსული! აგერ, ლუმპე-დუმპე კიბეზედ დაგორდა, მაგრამ მაინც მეფის ქალი შეხვდა წილად-შესაძლოა მეც შემახვედრონ მეფის ქალი.

აქ ნაძვს მოაგონდა მშვენიერი არყის ხე, რომელიც იქვე შორიახლო იდგა ტყის ტვერში. ნამდვილი მწვეფის ქალი აბა ის იყო, აი!

— კლუმპე-დუმპე ვილაა? ჰკითხეს წრუწუნებმა. ნაძვმა უამბო ზღაპარი, თავიდან ბოლომდე სიტყვა-სიტყვით დაეხსოვებინა. ისეთს სიამოვნებას ჰგრძნობდნენ თავგები, რომ სიხარულით ხის კენწერომდე ხტოდნენ. მესამე ღამეს რამდენიმე თავი კიდევ მოემატათ, კვირა ღამეს კი ორი ვირთაგვაც მოვიდა. ამათ სრულებითაც არ მოეწონათ ზღაპარი. თავგებს ეს ამბავი დიდათა სწყინდათ, თუმც ალარც თითონ მოდიოდნენ მაგრე რიგ ალტაცებაში.

— ეგ ერთი ისტორია იცით მხოლოდ? ჰკითხეს ვირთაგვებმა.

— ეს ვიცი მხოლოდ! უპასუხა ნაძვმა. ეს ზღაპარი კავიგე ჩემი ცხოვრების უბედნიერეს საღამოს. თუმცა ხეირიანად არცკი ვგრძნობდი ამას.

— ძალიან უფერული ისტორიაა! არა იცით რა ან ცხიმისა ან კიდევ ქონის სანთლისა; ან თუნდა საკუქნაოსი?

— არა!

— მაშ მშვიდობითა ბრძანდებოდეთ! თქვეს ვირთაგვებმა და წავიდნენ.

წრუწუნებიც გაიფანტ-გამოიფანტდნენ.

— ეჰ, ამოიოხრა ნაძვმა. რა კარგი იყო, რომ შემომისხდებოდნენ გარს ცელქი თავგები და ყურს უგდებდნენ ჩემს ამბებს! ამასაც ბოლო მოელო... ეხლა კი შემთხვევას აღარ დავკარგავ, მივეცემი განცხრომას ვავეყოფ თუ არა თავს ამ ჯოჯოხედიდან სინათლეში.

არც ეგრე მალე მოხდა ეს!

ერთხელ დილით ავიდნენ ჩარდახში მოსამსახურეები დასალაგებლად. გაიტანეს ყუთები და თან გააყოლეს ნაძვიც. ჯერ წიხლი ჰკრეს, მერე ძირს ჩაათრიეს.

„ახლა კი დამეწყოს ახალი ცხოვრებაო“, გაიფიქრა ნაძვმა.

დაჰბერა სუფთა ნიაფმა, გაიელვა მზის სხივმა და ნაძვმა ამოჰყო თავი ეზოში. ისეთი სისწრაფით მოხდა ეს, იმდენი

ახალი და საინტერესო რამ იყო ნაძვის გარშემო, რომ ვერც კი მოასწრო თავის თავისთვის ახედ-დაეხედნა. ეზოზე მობმული იყო ბალი. ბალში ყველაფერი ამწვანებული იყო და ჰყვავდა. ღობეზედ გადმოკიდებულიყო ახლად გაფურჩნული სუნნელიანი ვარდი, ცაცხვი გადაპნტილი იყო ყვავილებით; შერცხლები მიფრი-მოფრინავდნენ და ჭიკჭიკობდნენ:

— ჭრიხ-ჭირი-რი! ჩემი ქმარი დაბრუნდა! ჭრიხ-ჭირი-რი! მაგრამ ეს ნაძვს არ შეეხებოდა.

— ეხლა კი დავიწყებ ცხოვრებას! უხაროდა ნაძვს და თან ისწორებდა ტოტებს. ვაი, ვაი რატო ისე დამქანარან და გაყვითლებულან ჩემი ტოტები!

ხე იღვავებოდა ეზოს მიყრუებულ კუნძულში ჭინკრებზედა და ბალახ-ბულახებზედ, კენწეროზედ ჯერ ისევ ოქროს ფერი ვარსკვლავი უბჰყვრივდა.

ეზოში მზიარულად თამაშობდნენ ის ბავშვები, რომლებიც შობის წინა ღამეს ხტოდნენ და ცეკვავდნენ მორთულ ნაძვის ხის გარშემო. ყველაზედ უმცროსმა დაინახა ხე და მოჰკლიჯა ვარსკვლავი.

— უ-ურეთ, ბიჭებო, უყურეთ, რა შერჩენია ამ საძაგელ ბებერს ნაძვს. — შეიღვავა ზედა და სულ ქახა-ქუხი აუყენა ტოტებს.

ნაძვმა დაინახა თავის გარს ახალგაზდა, ძალ-ღონით სავსე ცხოვრება, დაიხედა თივის თავზედ და დაენანა ჩარდახის ბნელი კუთხე.

მოაგონდა თავის ახალგაზდაობა, ტყე, მზიარული შობის წინა-ღამე; გაიხსენა თავის წრუწუნები, რომლებიც ასეთი სიხარულით უსმენდნენ კლუმპე-დუმპეს ზღაპარს... — ყველაფერი წაეღა, განქრა! სთქვა სწყალმა ხემ. ნეტა სანამ დრო მქონდა შეცინა, მეხარა მაინც! ეხლა კი... მორჩა, გათავდა!

მოვიდა მოჯამაგირე და ნაძვის ხე ნაქერ ნაქერ დასკრა — ერთი ზურგი შეშა გამოვიდა. ისეთი გუზგუზი დაიწყო დიდი ქვაბის ქვეშ, რო შენი მოწონებული! ღრმად ძალიან ღრმად ოხრავდა საბრალო, თითქოს პატარა დამბახებს ისე.

რიანო. მოცვიდნენ ბავშვები, შემოუმწკრივდნენ ცეცხლს გარშემო და ყველა ტკაცანს მხიარულად ვეგებებოდნენ. „ტკაც! ტკუც!“ იმოერებდნენ ყმაწვილები. ნაძვი კი მძიმედ ოხრავდა და იგონებდა კაშკაშა ზაფხულის დღეებს, ზამთრის ვარსკვლავიან ღამეებს, მხიარულად გატარებულს შობის წინა ღამეს და კლუმპე-დუმპეს ზღაპარს, ერთად ერთს თავის სი ცოცხლეში გაგონილს ზღაპარს... ბოლოს ჩაწივა.

ბავშვებმა ისევ დაიწყეს თამაში ეზოში; უმცროსს გულ ზედ ეკიდა ის ბჭყვრიალა ვარსკვლავი, რომელიც იმ ბედნიერ ღამეს ასე უმშვენებდა ნაძვს კენწეროსა. იმ საღამომაც გაიარა, ჩაიგურგუმელავა საუკუნო უფსკრულში, ნაძვსაც მოუვიდა თავის აღსასრული და მასთან ჩვენი ამბავიც გათავდა. დასრულდა! ქვეყნიერობაზედ ყველას თავისი ბოლო აქვს.

ალ. მჭედლიშვილი.





სახალწლო

მოგილოცავთ წრფელის გულით
 ახალ წელს და ახალ ძაღვს!
 ვინძლო თავი დავაღწიოთ
 წარსული წლის ხათბაღას!..

რაც რომ იმან განურჩევლად
 შიშის ოფლი მოგვაწურა!
 ხან აქ, ხან იქ უმოწყალოდ
 გაგვისროლა, გაგვატურა!..

ბევრს შეგვებირდა, ცოტა მოგვეცა,
 იმ ცბიერმა მოგვატყუა,
 მაგრამ ისევ შადლი იმას,
 რომ გვასწავლა სწორედ ჭკუა!..

იმან სხვებთან შედარებით
 გულს იმედი დაგვისახა:
 „ძირს მტარვალნი! ძირს სიბნელე!“
 ყველა ერთხმად დაგვაძახა!..




გვებრძოლა და გვაწიოკა,
ბევრი ოფლი მოგვადინა,
მაგრამ სწორედ ამ ბრძოლაში
სხივმა მოგვათინათინა!..

ბრძოლის ცეცხლში გვადნო, გვაწრთო,
გაგვაფოლად-გაგვამტკიცა,
უკანასკნელ, წასვლის დროსა
ერთობაზედ დაგვაფიცა...

დაგვაბარა: „რაც დაგაკლდათ,
შეგისრულებსთ მას სხვა წელი,
მხოლოდ კი თქვენ ერთმანეთსა
გაუწოდეთ მტკიცედ ხელი!..“

მაშ, ახალ წელს მოგილოცავეთ
საესებით და წრფელის გულით!..
გაუმარჯოს ახალ ძალას!—
შემოვძახოთ სიხარულით!..

დ. თომაშვილი.






საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

ბაღნიერაბიზ გემი

(იპოვნური საახალწლო ზღაპარი).



ოველი ერი აღტაცებით მოეღოს ახალ წლის მოახლოვებას; ყველას უხარია ახალი წელიწადი; ყველა რაღაც სიკეთესა და უზჯობესობას მოეღოს მისგან. მაგრამ სულ სხვა განსაკუთრებული სიხარულითა და იმედებით ეგებებიან ახალ წელს დაი-ნიპონში—კუთხეულ ამომავალ მზის ქვეყანაში—

(ასე უწოდებენ თავიანთ ქვეყანას იპოვნელები). საკვირველიც არ არის ეს, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ ახალ წლის წინა ღამეს იპონიის ნაპირს ზღვიდან მოადგება თილისმინი ხომალდი — ტაკარა-ბუნე, — ბედნიერების შვიდ ღვთაებების წინამძღოლობით და მძიმედ დატვირთული იმ შვიდ საკვირველებითა და ძვირფას განძეულობით, რომელსაც სიხარბით მიელტვის ყოველი ადამიანის თვალი და გული!

ეს საკვირველებანი ერთხელ როდისღაც გადმოუტანია მომო ტაროს ეშმაკის კუნძულიდან. ეს კუნძული იმყოფება შორს-შორს სადღაც, უნაპირო ოკეანეში და დასახლებული იყო ბოროტ სულებით — ონიებით.

საზიზღარი შეხედულობისა ყოფილან ეს ონიები. თავებზე ესხათ ხარის რქები, ლოქავ პირში — ბასრი ეშვები და ხელფების თითებზე — არწივის კლანკები.

უხსოვარ დროს ონიები შემოსევიან ამომავალ მზის ქვეყანას, დაუტაცნიათ მრავალი ხალხი და სულ ცოცხალ-ცოცხლად ჩაუნთავექო გაუმადლარ სვავ მუცლებში.

შუა კუნძულზე ყოფილა დიდი კოშკი ონიების მეფისა, ერთ უმსგავს და დუბქირ ბაყ ბაყ-დევ-გმირისა.

ამ კოშკში შენახული ჰქონიათ რაგინდარა ს:უცხოვო რამეები: ჩაღის უჩინმაჩინის ქუდი, უჩინ-მაჩინოს წამოსასხამი, ორი ბდღვრახაღა ბროლის თვალი — ზღვის მქცეველი და, უკუნ-მქცეველი და შვიდი სხვა პატიოსანი თვალი, შიპპოდ წოდებული: ლალი, ზურმუხტი, ქარვა, აქატი, მარჯანი, ბროლი და მარგალიტები, სულ ძვირფას ოქრო-ვერცხლში ჩასმულები.



ამ განძეულობის მომპოებელი, მომო ტარო, ნამდვილი ბენდიერი იყო, ესე იგი ისეთი ადამიანი, რომელსაც ყოველ საქმეში ხელი ემართება და რომელზედაც იტყვიან ხოლმე ქუდ-ბედი დაპყლიაო დედის მუცლიდან.

საოცარი იყო იმისი შობა და აღზრდა. აი რას მოგვითხრობს ამის შესახებ კეთილი ხალხი:

ცხოვრობდა ერთ დროს — სახელდობრ როდის, ამის დაბეჯითებით თქმა ძნელია, — მოხუცი კოლ-ქმარი. ქმარი იყო შემის მქრელი, კოლი კი მეოჯახე დედაკაცი. ცხოვრობდა

ეს ორი შემტყბარ-შეთანხმებული ადამიანი ბედნიერად, მაგრამ შეილი არ ჰყავდათ და ეს იყო იმათი უბედურება და მწუხარება.

ერთხელ ქმარი ტყეში წავიდა, ცოლმა მდინარეზე საჩუქები ჩაიტანა გასარეცხად და თვალი მოჰკრა წყალში ერთ დიდ ატამს, რომელსაც კუნწზე ორი ფოთოლი შერჩენოდა და პირ და პირ მისკენ მოცურავდა.

სწვდა დედაბერი ატამს, აიტაცა სიხარულით და ჩაღო ფთხილად სარეცხის კალათაში, რომ ნახევარი ქმრისთვისაც ეწილადებინა. მაგრამ ოჰ, საკვირველებავ! როცა ნავახშმვეს დედაბერმა დანა აიღო და ატამს ქრა დაუწყო ორ თანასწორ ნაწილად, შიგნით კურკის მაგივრად ერთი კიკნა მარგალიტივით ბიჭუკელა კი გამოჩნდა.

დიდ სიხარულს მიეცნენ ბებრები და შეილივით მოვლა დაუწყეს პაწკიას, რომელსაც უწოდეს სახელად მომო ტარო — „ატმის შეილი“. უნაყოფოდ არ ჩიიარა მათმა ზრუნვამ, საკვირველის სისწრაფით იზღებოდა მომო ტარო: იმ დროს, როცა სხვა მის ტოლა ბაღლები ჯდომასაც ძლივს ახერხებდნენ, ის ფეხ ადგმული დაცქრიალებდა და სწორედ რომ სასწაულებს ახდენდა: ისეთ ჩაფს წამოიკიდებდა წყალით სავსეს, რომელსაც დედა მისი ადგილიდანაც ვერ სძრავდა. მამა რომ ტყიდან დაბრუნდებოდა გუდურა შეშის ქვეშ წელ-მოხრილი, ის გზაში მიეგებებოდა, ჩამოართმევდა ცულსა და გუდურას და ისე მსუბუქად შეარბევინებდა ქოხში, თითქო ბავშვის სათამაშოებიაო.

ასე შევლოდა ის დედ-მამას და აკეთებდა მათ მაგიერ მძიმე საქმეებს. გაიზარდა მომო ტარო ბებრების სასიხარულოდ და მალე მძღაერი, მარჯვე და წამოსადეგი ქაბუკი გახდა.

არც ერთ გიმნასტიკურ ვარჯიშობასა და შეჯიბრებაში მოცილვე არ ჰყავდა, არ ეშინოდა აც ხორც შესხმულ ადამიანისა, არცა მავნე სულისა.

ამასთან ისეთი გულკეთილი და შემბრალებელი იყო, რომ ქიასაც ფეხს არ ადგამდა, რომ არ ეწყეინებია. ამიტომაც ის ყველას ისე შეუყვარდა, რომ თვალში ჩავარდნოდა,

ხელს არ მოისვამდნენ, პირუტყვებიც უკან ედევნებოდნენ, სადაც შეხედებოდნენ. ამან დიდად უშველა და ხელინ მოკუ-
მართა მის, როგორც შემდეგში დავინახავთ.

მომო ტაროს ბევრჯერ გაეგონა ხალხისაკან ეშაკის კუნძულზე მცხოვრებ ონიებისა და იმათი ონიების ამბები. ამ ამბავმა დაჰბადეს მის გულში კაცის მკამლეობის ზიზლი, იმათი შურის ძიება; გაულღიძეს მამაცური გრძობა და მოინდომა ჯავრის ამოსაყრელად სიმდიდრის წართმევა, რომ ამითი ესახლეებინა თავი და დაეჯილდოვებინა დედ-მამა იმ ზრუნვა-ამაგისათვის, რომელიც მასზედ მოელოთ.

მშობლებმა რომ გაიგეს, ყურიც არ ათხოვეს ამ საშინელ ფიქრსა და შეუძლებელ განზრახვას.

— რად გვინდა, შევილო, სიმდიდრეო? უთხრეს მას, — ჩვენი სიმდიდრეც შენა ხარ და ბედნიერებაც; სხვა ვერაფერიც ვერ გამოიხსიდი შენს ჩვენგან განმორებასო!

მაგრამ მომო ტარო ისე დაეინებით სთხოვდა წასვლის ნებართვას, ისე ემუდარებოდა, რომ ბოლოს დაიყოლია, როგორც იყო, კეთილი მშობლები

დაუმზადა დედამ საგზაოდ ბრინჯის ხინკლები, ჩაუწყოა ლერწმის კალათაში, გზა დაულოცი და გაისტუმრა.

შეიარაღდა მომო ტარო დიდის ბერუტით და გაუდგა გზას. გასცდა თუ არა სოფელს, წინ შეხვდა ერთი უცხო ძაღლი, რომელმაც მიუაღერსა, მიულაქუცა და უთხრა:

— შეც წამიყვანე შენთან, მომო ტარო, მზგავრობაში გამოვადგები და ერთგულ სამსახურს გაგიწევ, თუ რომ წინ და წინ შენის გემრიელი ხინკლებით გამიმასპინძლდებიო.

— დიდის სიამოვნებითო, უპასუბა მომო ტარომ და მისთავაზა ხინკლები.

მოიძლო კუჭი ძაღლმა და მზიარულად დაედევნა მომო ტაროს. ცოტა ხნის შემდეგ შემოეყარათ მაიმუნო იმანაც აღუთქვა ერთგული სამსახური, თუ რომ საგზალით გაუმასპინძლდებოდა.

მომო ტარომ სიამოვნებით მისთავაზა თავის საგზალი და, ისიც თან გაიყოლია.



იარეს, იარეს და ახლა ხოხობი შემოეყარათ წინ. ესეც დაჰპირდა დახმარებას ბოროტ ონიების წინააღმდეგ, თუ რომ ცოტა ხინკალს მისთეისაც არ დაიშურებდა.

არც ამას უთხრა უარი მომო ტარომ, და ბოლოს მიადწია თვის ამალით ზღვის პირას. მაგრამ ნაპირიდან კუთხული შორს იყო და ეხლა იქ გადასვლა გაუზბდა საფიქრებლად.

მიიარ-მოიარა, მიიხედ-მოიხედა და დაინახა ზღვაში საქვებზე მიბმული პატარა ნაფი. მაგრამ იქ მისვლა არ უნდოდა?!

ამ ფიქრიდან მაიმუნში გამოიყვანა.

— შენ ხომ კაი ცურვა იცი, ცუგო! ჩახტი წყალში, მე ზურგზე შეგაჯდები, მივიდეთ ნავთან და გამოვიტანოთო! უთხრა ძალღს მაიმუნმა.

თქმა და ქმნა ერთი იყო. ძალღი ნავთან მიცურდა, მაიმუნმა თითებით თოკი გახსნა, ძალღს პირში ჩაუდო და ნაფი ნაპირას გამოათრის. ჩასხდნენ შიგ ჩვენი მგზავრები, ხობობი წინ გაუძღვა ადგილ-მდებარეობის დასაზვერად და მივიდნენ კუნძულზე.

დამალა ნაფი მომო ტარომ ხობობისაგან ნაჩვენებ ადგილას, და წავიდნენ ციხისაკენ.

შეამტვრია რკინის კეტით ბქის კარი და შეჰყვირა მომო ტარომ, შეჰყმუვლა ძალღმა, შეჰყვივლა მაიმუნმა, შესტინა ხობობმა და საშინელის ქრიაშულით შესცვავდნენ ყველანი შიგ ციხე-დარბაზში. ამ დამაყრუებელ ყვირილ-ყმუვილ-ქყვილ-სტვენის არეულ ხმაზე დაფრთხნენ ონიები და გულ გახეთქილები მიიფანტ-მოიფანტნენ, მიიმაღ-მოამაღნენ.

თვითონ შეფე ბრინჯის არყით შეზარხოშებულიყო და ნებივრად ფშვინავდა სარეცელში. გამოეღვიძა ამ უეცარ ალიაქოთზე, წამოხტა გამხეცებული, თვალები მოიფშვნიტა და დაინახა ადამიანი; დაიყოყინა, დაალო პირი და კბილების ღრქენით ჩაყლაპვა დაუპირა. მაგრამ ვერ მიართვეს!

ძალღი იმ წიშვე ეკანიდან ეძგერა და სადგისივით კბილები კუნთებში გაუყარა; მაიმუნი ქეჩოზე მოაჯდა და თვალეზე ცაცები დააფარა; ხობობი ქორივით შიგ თავ-პირში მივარდა, ფრთებით ყურმალში ტყაპა-ტყუპი აუტეხა და სულ დააყრუ-დაარეტინა! არც მომო ტარო იღვა უსაქმურად, ნუ გეშინია! ის ბერკეტით მუშაობდა და შეუბრალებლად უზა-

პუნებდა ბაყბაყ მდევს და ის შენს მტერს, რაც იმას დღე დააყენა. სულ ნეკნები ჩაანტვრია და ზურგზე ბოლი დადინა!

დაოსებული დევ-გმირი საშინელის მანქვა-გრეხით დაეცა ძირს და ვედრება დაიწყო: ოღონდ თავი დამანებეთ და ალალი და უსაყვედურო იყოს ჩემი ყოველივე სარჩო-საბადებელიო! ხუნხუზ ონიებს რომ მეფის ღრიალი შემოესმათ, ძალღონე მოიკრიფეს, გული გაიმაგრეს და მოეშველნენ, მაგრამ არც ამათ დარჩნენ ხელცარიელები: ხოხობი კარებში ჩადგა და რომელიც კი შემოსვლას დააპირებდა, თვალები ნისკარტით დაჩიქნა!

დაბრმავებული ონიები აბა რაღა ქირს გახდებოდნენ და ისინიც დამორჩილდნენ.

ბოლოს მეფის ბრძანებით მოზიდეს, რაც, რამ მოეპოვებოდათ კოშკის საღაროში და ერთი უზარმაზარი გემი დატვირთეს. დაჯდა ზედ მომო ტარო თავის ამალით და წამოვიდა სამშობლოში...

ბებრები ამ დროს ისხდნენ საცოდავად დაღონებულები, გასცქეროდნენ საყვარელ შვილობილის გზას და ერთი ერთმანეთს სინანულით შესწიოდნენ: „ე რა ღმერთი გაგვიწყრა და თვალები დაგვიდგა, რომ ნანი ნანატრი შვილი საღლაც ეშმაკებში გადაეკარგეთო“.

უმეტეს ნაწილად ისინი ზღვის ნაპირას ატარებდნენ დროს. ლერწმის პატარა ქოხიც კი ჩადგეს იქ, რომ უფრო მალე გაეგოთ დაკარგული შვილის ამბავი.

ერთხელ, როცა ისინი ჩვეულებრივ დაღონებული გასცქეროდნენ თვალ უწვდენელ ზღვის სივრცეს, შორს ჰორი ზონტზე გამოჩნდა ნაპირისკენ მომავალი გემი და მის ერდოზე—მომო ტარო, რომელიც ანიშნებდა თავის გამარჯვებას და აუარებელ სიმდიდრით დაბრუნებას.

ბებრებს ისე სიმდიდრე არ გახარებიათ, როგორც თავიანთ უძვირფასეს საუნჯის, მომო ტაროს დანახვა.

ამ გვარათ მომო ტარომ დასრულა სანატრელი დაპირებული აღთქმა: დაუბრუნდა საყვარელ დედ-მამას გამარჯვე-


ბული და აავსო მათი გული სიამოვნებითა და სიბარულით. მან უხვად დააჯილდოვა ერთგული მეგობრები, — ქალღმერთი, შაი-მუნი და ხოხობი, აგრეთვე ყველა მეზობლები.

აი, ის შვიდი ძვირფასი საუნჯე, რომელიც სხვა აუთარებელ ქონებასთან გადმოიტანა მომო ტარომ ეშმაკის კუნძულიდან, — შეადგენს ნაწილს იმ უღვეველ ქონებისას, რომლით დატვირთული ხომალდი ყოველ ძველი წლის უკანასკნელ ღამეს მოადგება ხოლმი იაპონიის ნაპირებს.

ამ გემიდან გადმოდინ ბედნიერების შვიდი ღმერთები და მოაქვთ ქვეყნისთვის შვიდი ღვთაებრივი საჩუქარი: დღეგრძელობა, პატროსან შრომით მოპოვებულ ქონებით, სიუხვე, გამარჯვება და მეცნიერება, მხნეობითა და გონიერებით, რომლებსაც ანაწილებენ ხალხთა შორის.

აი რისთვის ეგებებიენ ამომავალ მზის ქვეყნის შვილები ახალ წელს ასეთის სასოებით და მხიარულის იმედებით.

თ. კა-კი.





ჭუბუჩაშ პერიოდი, იტალიის განმანთავისუფლებელი

(გაგრძელება. იხ. „ნაკადული“ № XII, 1905 წ.)

სოფელი ღონე და აზრის გამჭვირვაობა იხმარა, რომ თავის სამშობლოში ვაჭრობა, ხენა-თესვა და მრეწველობა გავერცელებინა და ამით იტალიის სიმდიდრე გაედიდებინა. ამას გარდა კავურმა იტალიის ავტორიტეტის აღსადგენად შემდეგ პლანს მიჰყო ხელი: ის ცდილობდა ევროპის ყოველგვარ საქმეში მიეღო მონაწილეობა; მას სურდა, რომ იტალიას სხვა სახელმწიფოთა შორის წარჩინებული ალაგი დაეჭირა, და ამისათვის ყოველგვარ ზომებს ხმარობდა, რომ მისს სამშობლოს ამაყად და, რაც ყველაფერზე ძლიერ საქირო იყო, თავისუფლად ეგრძნო თავი. ამ თავის პლანის განსახორციელებლად მან ნელ-ნელა იწყო საფრანგეთის იმპერატორთან, ნაპოლეონთან, მეგობრული კავშირის გაწყობა; მას სურდა დარწმუნებულიყო, რომ საფრანგეთი იტალიას აუსტრიასთან ბრძოლის დროს დახმარებას გაუწყვედა. ამ ბრძოლისათვის ემზადებოდა მთელი იტალია. აუსტრიელები მიხვდნენ კავურის ხრიკს და ლომბარდიაში დიდ-ძალი ჯარი დაამზადეს. ამის-და-მიუხედავად, საფრანგეთის დახმარებაზე დაიმედებულმა პიემონტის კოროლმა თავის მტერს—აუსტრიას—ომი გამოუცხადა. ეს მოხდა 30 აპრილს 1859 წელს. არ გასულა ომის გამოცხადების შემდეგ რამდენიმე დღე და საფრანგეთის ჯარი გენუიაში იტალიელთა დასახმარებლად გადმოსხდა.

გარიბალდის კიდევ მოუწოდეს მტრების წინააღმდეგ, მან ერთი რაზმის, რომელსაც სახელად „ალპიელთა თავისუფალ მეომართა“ რაზმი დაერქვა, უფროსობა მიიღო. თუმცა ეს რაზმი შესდგებოდა თავისუფალ მეომართაგან, რომელთაც ჯერ თვალითაც არ ენახათ ბრძოლა, ამის-და-მიუხედავად გარიბალდი ამისთანა მოუშზადებელი ჯარითაც-კი მშვენიერად იმარჯვებდა მტერზე. მის წინააღმდეგ აუსტრიელებმა ერთი სახელ-განთქმული ღენერალი—ურბანი გაგზავნეს მრავალი ჯარით. გარიბალდის ორჯელ დაამარცხა ეს ღენერალი და იარაღის უხმარებლად დაიპირა ქალაქი კომო, რომელიც აუსტრიელებმა იტალიელთა მოახლოვებისათანავე თავის ნებით დასცალეს. ამ ქალაქში ჯუზეპომ თავის ჯარისათვის როგორც საზრდო ისე მრავალი თოფი და საფანტი იშოვნა. ძლიერ სასიხარულო იყო გარიბალდისათვის იარაღის და საფანტის შოვნა, რადგან მის ჯარს ის-ის იყო სამხედრო მასალა ელეეოდა. ამასობაში ფრანგებმაც მშვენიერად გაიმარჯვეს აუსტრიელებზე სოლფერინესთან.

მთელი იტალია გულის-კანკალით და მღელვარების დუმილით თვალ-ყურს ადევნებდა ამ ომს და მზად იყო მხარი მიეცა პიემონტის ჯარისათვის. ამ რამოდენმამე გამარჯვებამ ააღფრთოვნა იტალიელნი და ჩაუნერგა მათ გულში თავისუფლების, ძმობის და ერთობის დამყარების იმედი. მაგრამ, ხალხი ერთმა საზიზღარმა ამბავმა შეაკრთო: ნაპოლეონს პიემონტის კოროლის სურვილის წინააღმდეგ აუსტრიელებთან იტალიელთა დამამკირებელი პირობებით მშვიდობის ზავი ჩამოეგდო თურმე. აი, ეს პირობები: აუსტრიელები პიემონტის კოროლს უთმობენ ლომბარდიას, მხოლოდ მათ მფლობელობაში მშვენიერი ვენეცია რჩება; ნაპოლეონს კი მისი სურვილისამებრ მშვენიერი ნიცა და სავოია უნდა დაეთმოს. გარიბალდის ამის თაობაზე ჯერ არა გაეგო-რა; ის ამ დროს შუა იტალიაში იყო და ხალხს თავისუფლების დასამყარებელ ბრძოლისათვის აღვიძებდა, მას ყველგან, როგორც ნამდვილ მეგობარს და ხალხის მფარველს ეგებებოდნენ. ქალაქებში მისი

მოსელის სადღესასწაულოდ გასართობ საღამოებს მართავდნენ. ყველგან გაისმოდა: „გაუმარჯოს გარიბალდის!“-ო და თან მაშინვე: „გაუმარჯოს იტალიას!“

ჯუზეპოს ძლიერ აწუხებდა იტალიის გათავისუფლების საქმის ასეთი გლაბა მდგომარეობა; მას მხოლოდ ის-ლა ახარებდა, რომ ხალხი ძლიერი პატრიოტიზმით იყო აღქურვილი. ამით დაიმედებული დაუყონებლივ შეუდგა ახალი ჯარის შეკრებას, რადგან ამით სურდა განეგრძო ბრძოლა სამშობლოს დახსნისათვის. და აი ამ დროს, თითქოს გარიბალდის გულის-გასახეთქად, ჩამოაგდეს მოსისხლე მტერთან ზავი, რომლის ჩამოგდება არვის სურდა, სამარცხვინო ზავი, რომლის წყალობით მას ძვირფასი სამშობლო წაართვეს და აუსტრიელებს და ფრანგებს ჩაუგდეს ხელში. როგორც მები ისე დაეცა გარიბალდის ეს ამბავი. ამ ამბავმა გაუხილა მას თვალები; მის სიპრაზეს კავურისადმი საზღვარი აღარა ქონდა; მისი სამშობლოს ასეთი გაყოფა მისთვის აუტანელ უბედურებას შეადგენდა. გარიბალდი აღფრთოვანებული იყო სამშობლოს მალე გათავისუფლებით, მან უკვე რამდენჯერმე დაამარცხა მტერი, და ამის შემდეგ კიდევ ქალაქებს უთმობდნენ დამარცხებულ მტერს, რომლის სამშობლოდან განდევნა გარიბალდისათვის არაფერ შეუძლებელს არ შეადგენდა. კავურის ასეთი ყოფა-ქცევით გაბრაზებულმა, მან მიატოვა სამშობლო და თავის მყუდრო კაპრერაზე წავიდა. არაფერ მომზიბლავ და მიმზიდავ სურათს წარმოადგენდა ეს კუნძული, მის გარშემო დაუსვენებლივ ღიღინებდა ხმელთა-შუა ზღვა, მხოლოდ აქაიკ კლდის წვეტიან წვერებს ამოეყოთ წყლიდან თავი, თითქოს ვილაყას ემუქრებიანო. არაფერი არ ახარებდა კაცის თვალს ამ უდაბურ კუნძულზე. აი, ასეთ ადგილს ააშენა გარიბალდიმ ქვითკირის ორსართულიანი სახლი პატარა კოშკით. ამ კოშკიდან თქვენ თვალს წინ გადიშლებოდა თვალ-გადუწვდენელი ხმელთა-შუა ზღვა, რამოდენიმე პატარა კუნძულები და ყოველთვის ბურუსით შემოსილი იტალიის კიდე. მხოლოდ ხანდახან შორს, თვალ მიუწვდენელ მანძილზე გემები

მოსჩანდა, რომლებიც მხოლოდ კვირაში ერთხელ მიადგებოდნენ კაპრერის უდაბნო ნაპირს. მხოლოდ ამ ერთ დღეს მოსდიოდა გარიბალდის სამშობლოს ამბავი.

აი, ამ მყუდრო უდაბნო ალაგს სცხოვრებდა სახელგანთქმული ღენერალი და ქრილობებს ირჩენდა, რასაც ბრძოლის დროს არაერთხელ ყურადღებას არ აქცევდა.

მან დიდი შრომით გააშენა ამ კლდოვან ალაგს ბოსტანი და მალალი ქვითკირით შემორაგა, რადგან ამ კუნძულზე ბევრი გარეული ხარბები და სახედარი იყო და თითქმის ყოველგვარ მწკანეულობას ანადგურებდა. ამ ცხოველებზე ნადირობის ნებას გარიბალდი არავის აძლევდა. ხანდახან აძლევდა ის ნებას თავის თანაშემწეთ, ისიც ბადით, დაეპირათ ეს ცხოველნი და ყასაბისათვის მიეყიდნათ. მხოლოდ ამ დღეს სქამდა გარიბალდი ხორცეულებს, ისე-კი ბოსტნეულობის და თევზეულობის მეტს არას იკარებდა. არც ძლიერ ეფერებოდა ეს გვირი თავის თავს; ის არ სცდილობდა სიკაცხლე ფუფუნებაში გაეტირებინა. მის სახლში მხოლოდ ორი ოთახი და სამზარეულო იყო; ერთ ოთახში თვით გარიბალდი სცხოვრობდა; სულ უბრალოდ იყო მოწყობილი ეს ოთახი; ერთს კუთხეში რკინის საწოლი იდგა, რომლის ზევით კედელზე მის საყვარელი „ბებერი დედის“ სურათი ეკიდა, იქვე საწოლთან ერთი ძველი სავარძელი და პატარა ყუთი იდგა, რომელშიც ჯუზეპოს საჭირო „ქალაქები“ ჰქონდა შენახული, მეორე მხრით პატარა წიგნთ-საწყობი იყო კედელზე მიმაგრებული, — აი, რა შეადგენდა იმ კაცის ოთახის მოწყობილებას, რომელსაც მთელი ევროპა პატივს-სცემდა, — იტალია კი აღმერთებდა. მეორე ოთახი — სასტუმროდ იყო დანიშნული. გარიბალდის ხშირად ეწვეოდნენ ხალხე მისი მეგობრები და პატივისმცემელნი მთელი ევროპიდან და ამერიკიდან. ამიტომ ამ ოთახში ყოველთვის მზად იყო სამი რკინის საწოლი; კედლები-კი იარაღით და დროშებით იყო შემკული.

ამ სახლს გვერდით პატარა რკინის ოთახი ჰქონდა მოშენებული, რომელშიც გარიბალდის თაყვანის მცემელი ჯიო-

ვანო ბასო სცხოვრებდა, ბასო ჯუზეპოს მდივანი და შაზინადარი იყო.

ამ ოთახის გვერდით პატარა ქოხი იყო ^{მშენებულნი} კომელშიც გარიბალდი ცხოვრებდა მის სახლის აშენებამდის. ამ ქოხის ქვეით პატარა წისქვილი იყო გამართული. ეს შეადგენდა გარიბალდის ქონებას. ასეთ მოწყობილებაში სცხოვრობდა ის, ვისაც მთელი ქვეყანა თავისუფლების უმამაცეს დარაჯად და სამშობლოს განმათავისუფლებლად სთვლიდა.

VI

მაგრამ არც დიდი ხანი დარჩენილა გარიბალდი ამ უდაბურ კუნძულზე. სამშობლოდან მას სულ თან-და-თან აღმაშფოთებელი ამბავი მოსდიოდა, იტალიელებს ცოდნაც არ უნდოდათ ვილლაფრანკოში მომხდარ მოლაპარაკებისა: მიხვდნენ, რომ ფრანგები არამც თუ მათი მომხრენი, არამედ ორგული, მუხთალი მტრები ყოფილან. ამისათვის მათ გადაწყვიტეს მარტო თავის ძალით და აზრით ეშოვნათ სამშობლოს დამოუკიდებულება: გაეთავისუფლებინათ მთელი იტალია ალპებიდან—სიცილიამდე მტარვალებისაგან. სულ პირველად აჯანყება სიცილიაში დაიწყო, და ამ აჯანყებამ გამოიწვია მთელი იტალია მასში მონაწილეობის მისაღებად. სალამოს—3 აპრილს 1860 წელს აჯანყება ამ კუნძულის სატახტო ქალაქში—პალერმოში—დაიწყო. აჯანყების უმთავრესი მიზანი აქ ბურბონების*) განდევნა და დაარჩენ იტალიისთან შეერთება იყო. მაგრამ ბურბონთა ჯარმა გაიარცვა და გაანადგურა ქალაქი, და სიცილიელები იძულებული გახდნენ ცოტა ხნით დაჩუმებულიყვნენ. მათ დასახმარებლად გენუიაში განსაკუთრებული პატრიოტთა საზოგადოება დაარსდა: ეს საზოგადოება კრებავდა ფულს, იარაღს, სამხედრო მასალას და აგრეთვე თავისუფალ მეომართა ჯარს. თავის დაარსებისთანავე მიმართა გარიბალდის, რომ მის თავისუფალ მეომართა რაზმების უფროსობა ეკისრა.

*) სიცილიაში მმართველებად ბურბონები იყვნენ.

პიემონტის კოროლს ძლიერ ეშინოდა სიცილიელებისათვის რაიმე დახმარება აღმოეჩინა, რადგან ფრანგებს გააგულიყენებდა ამით, და ამას მისთვის გლახა შედეგი მოყვებოდა; მას გამოსცა ბრძანება, რომლის ძალით არვის არ შეეძლო მისს ქალაქებში იარაღის და ჯარის გატარება. ამის-და-მიუხედავად გარბაღლის მიხედვით არ შეეძლო დარჩენილიყო თავის მყუდრო სამოსახლოში, როდესაც მას ტანჯული ძმები დახმარებას სთხოვდნენ. ჩუმად და გაიძვერობით ქცევა მას არ შეეძლო, ამისთვის დაუფარავად შეუდგა იმ რაზმების უფროსობას, რომელთაც გენუიაში კრიბავდნენ. აი, როგორი წერილი მისწერა გარბაღლიმ ამის შესახებ სარდინიის კოროლს: „მოწყალეო ხელმწიფევე—სწერდა გარბაღლი—სიცილიელთა შემადრწუნებელმა ღალატმა—გვიშველეთ“—ამაშფოთა მე და ჩემთან ერთად რამოდენიმე ასი კაცი ჩემი რაზმისა. მე არ მიჩვევია ჩემი ძმებისათვის სიცილიაში აჯანყების მოხდენა, თვით ისინი აჯანყდნენ, მათ სურთ მოიშორონ თავიდან სამარცხვინო ტირანია უცხოელთა, მათ სურთ, რომ თქვენ ეს მრავალ-ტანჯული ხალხი სხვა განთავისუფლებულ იტალიასთან შეაერთოთ. ამისათვის მე დაუყონებლივ შევუდგე ამ პატიოსანთ, მაგრამ საშიში საქმის ხელმძღვანელობას. თუ გავიმარჯვეთ, ძლიერ ბედნიერი ვიქნები, რადგან ყველაფრით-ძვირფასი სიცილია, დანარჩენ იტალიას შეუერთდება და არას დროს აღარ დაეთმობა უცხოელებს, როგორც მათ ჩემი სამშობლია ნიცა დაეთმოთ.“

ყოველი მხრიდან იკრიბებოდნენ გარბაღლის გარშემო თავისუფალნი მეომარნი. მასთან მიდიოდა ლარიბიც და მდიდარიც; თოთხმეტი წლის ბავშვები ცრემლ მორეული ეხვეწებოდნენ, რომ შედაფდაფედ მიეცა ჩაერიცხა რაზმში. წარჩინებულ პირთა ქალები დროშებზე წარწერებს ქარგავდნენ. გარბაღლიმ 1070 კაცი შეაგროვა. თუმცა ეს რაზმი შეიარაღებულიც და ჩაცმულიც გლახად იყო, მაგრამ ამის-და-მიუხედავად სამშობლოსადმი აუწერელი სიყვარული და გარბაღლისადმი აღტაცებული პატივის ცემა ამხნეებდა და ქმნიდა

მას უძღვევდა. გარიბალდის ერთი თვალის დახამხამება საკმაო იყო რომ მას ყველანი დამორჩილებოდნენ, ამის ბრძოლის ველზე გამოჩენა ამხნევებდა მის ჯარის-კაცთ და აზროვნებდა ბრძოლას.

(გაგრძელება იქნება)

ვასო ლამბაშიძე





ფიზიკა და პიფია

ნიეთიერების სამი მდგომარეობა.

და. დღეიდგან ჩვენ დავიწყოთ ნაცად (опытные) მეცნიერებათა შესწავლა. ეს მეცნიერებანი არიან: ფიზიკა, ქიმია და ფიზიოლოგია. მოხსენებული მეცნიერებანი იწოდებიან ნაცად მეცნიერებათ, რადგან იმათი შესწავლა დამყარებულია ცდაზე. მაგრამ, რა არის ცდა? აი წყალში ჩავაგდებ ნაფოტი; ვხედავ რომ ნაფოტი მოტივტივდა; მაშასადამე ნაფოტი წყალზე სუმბუქი ყოფილა. აი ამ მოქმედობას, რომლის შემწეობით მე ვიძინ რაიმე ცოდნას, ჰქვია ცდა. ნაფოტს რომ ხუთგირვანქიანი ქვა მოვებათ და წყალში ჩავაგდოთ ჩასძირავს, რადგანაც წყალზე მძიმე შეიქნა. ესეც მეორე ცდა. ნაფოტს თუ ცეცხლში ჩავაგდებთ, ცოტა ხნის შემდეგ ნაფოტის შავივრად ჩვენ დავინახავთ აღს. მერე აღი ჩაქრება და ნაფოტი ნაკვერჩხლად იქცევა, ნაკვერჩხალი-ნახშირად და მერე ნაცრად. აბა ეხლა თვალი გადავავლოთ რა შევისწავლეთ ჩვენ ცდით: ცდამ დაგვანახვა რომ წყალში ნაფოტი არ იძირება, ზემოთ ტივტივებს. მეორე ის გავიგეთ, რომ ხუთ გირვანქიანი ქვა არამც თუ თითონ იძირება, არამედ ნაფოტიც კი თან მიაქვს. თუ ავწონავთ, გავიგებთ, რომ ნაფოტი თავისტოლა წყალზე სუმბუქია, ქვა კი თავისტოლა წყალზე მძიმეა. ყოველივე ის, რაც თავისტოლა წყალზე სუმბუქია, წყალზევე

ტივტივებს. ის კი, რაც თავისთავად წყალზე მძიმეა, იძირება. ყველა თქვენგანი აღვილად იტყვის, რა უფრო მძიმეა, ტივის ხე თუ ტივის ხის ტოლა წყალი?

ტივის ხე წყალზე ტივტივებს, მაშასადამე ტივის ხე თავისთავად წყალზე სუმბუქია. რა უფრო მძიმეა, ეს რკინის გასაღები, თუ ამის ტოლა წყალი, გასაღები წყალში იძირება, მაშასადამე ის წყალზე მძიმეა.

ეხლა თქვენ თვითონ გამოსცადეთ სხვა და სხვა საგნები. ნაფოტის მოტივტივება, ქვის ჩაძირვა წყალში, ჩვენ კდით გავიგეთ. რომ ჰკითხო ვისმეს, რა მოუვა მალლა შესროლილს ქვას, გიპასუხებს, ქვა ძირს დაეცემაო. თუ ჰკითხამ, ეგ ვინ გითხრაო, გეტყვის, გამომიცდიაო ანუ ეგ უკვე ნაცადიაო. რომ ჰკითხო ვისმე, რა მოუვა ყურძენს თუ არ მოვკრეფავთ, გიპასუხებს, დაჰქნება და ჩამოცვივა, — ეს ნაცადიაო. ამ გვარად, უმეტესი ჩვენი ცოდნა შეძენილია კდით.

კდა არის დედა-ბოძი; რომლის საშუალებით შეუძენია ადამიანს უმეტესი თავისი ცოდნა. იმ მეცნიერებათა შესწავლა, რომლებზედაც ჩვენ ზევით გვქონდა ლაპარაკი, ესე იგი ფიზიკის და ქიმიის შესწავლა შეიძლება მხოლოდ კდით.

ფაზაკა და ქაძაა. ზევით მე ჩამოვთვალე ნაცადი მეცნიერებანი და იმათ შორის ვახსენე ფიზიკა და ქიმია. აი რა განსხვავებაა ამ ორ მეცნიერებათა შორის: თუ ნაფოტი წყალში ჩავაგდე, შემიძლიან ისევე ამოვიღო, გავწმინდო, გავაშრო და ამ რიგად ნაფოტი ისევე ნაფოტად რჩება. ეს კდა ეკუთვნის ფიზიკას, რადგან ამ კდის დროს ნაფოტის ნივთიერება შეუცვლელი რჩება. მაგრამ თუ ნაფოტს დიფუზიამთ, ვერაფრით ველარ დაეუბრუნებთ წინანდელ სახეს; ნაფოტის მაგივრად ჩვენ დაგვრჩება ნახშირი, ან ნაცარი; არ შეიძლება ვსთქვათ, ნაფოტი სრულიად გაჰქრაო: თუ ავწონავთ ბოლს, ნახშირს, ნაცარს და კიდევ რამდენიმე სხვა ნივთიერებას, რომლებზედაც შემდეგში გვექნება ლაპარაკი, დავრწმუნდებით, რომ ყველა ეს, სწორეთ იმდენს წონს, რამდენსაც ნაფოტი იწონიდა. მე ამ მაგალითით ის მინდა ვთქვა, რომ თუ ნაფ-

ოტს დაეწვამთ, ჩვენ დაგვრჩება სხვა და სხვა ნივთიერებანი, ნაცარი, ბოლი, და არა ნაფოტი. აი ისეთი ცდები რომელიც დროსაც ნივთიერება სრულიად იცვლება, ეკუთვნის ქიმიურ ცდას. აბა, ვნახოთ, გაიგეთ ზემონათქვამი თუ არა? უცქირეთ, მარილი ჩაეყარე წყლიან ქიქაში. რა მოუვა ეხლა ამ მარილს აბა, მითხარი ვასო?

— მარილი წყალში გაიშლება.

— გაიშლება კი არა გადნება; რომელ მეცნიერებას ეკუთვნის ეს ცდა. ფიზიკას თუ ქიმიას?

— ქიმიას, რადგანაც მარილი გაჰქრა.

— არა, ჩემო კარგო, მარილი არ გაქრა, არც სხვა რომელიმე ნივთიერებად გადაიქცა, მარილი ისევე მარილად დარჩა. აბა წყლის გემო გასინჯე, ხომ გრძნობ სიმლაშეს? თუ ამ წყალს მათლაფაზე დაეასხამთ და ავაორთქლებთ, მათლაბაზე დარჩება მარილის პაწაწკინა თვლები. ესეც უნდა იცოდე, რომ ეს მარილი სწორედ იმდენი იქმნება, რამდენიც ქიქაში ჩაეყარეთ. აბა ახლა ამ ქიქაში გოგირდის სიმეავე ჩაეასხათ, ჩავდეთ შიგ წვრილი რკინის მავთული. უცქირეთ მავთული სიმეავეში დნება, როგორც წყალში მირილი დადნა. მაგრამ სიმეავე კი როგორც ხედავთ გამწვანდა, წინად კი წყლის ფერი ჰქონდა. თუ მათლაფაზე დაეასხამთ ამ მწვანე სითხეს, რომელშიც რკინა დაიშალა და შეუერთდა სიმეავეს, ამ მწვანე ხსნილს ორთქლათ ვაქცევთ, მათლაბაზე დარჩება პატარა მწვანე თვლები. რკინისა და გოგირდის სიმეავეს შეერთებისაგან შესდგა ახალი ნივთიერება, ესრედ წოდებული რკინის შაბი-ამანი. ის ცდა, რომელის დროსაც ნივთიერება არ ჰკარგავს თავის სახეს, ეკუთვნის ფიზიკას, ხოლო, ის ცდა, რომლის დროსაც ნივთიერება სრულიად იცვლება, ან სხვა რომელიმე ნივთიერებად იქცევა ეკუთვნის ქიმიურ ცდას.

ჩვენ ჯერ ფიზიკაზედ ვილაპარაკოთ.

რა არის ფიზიკა? პასუხის მისაგებად კარგია მივმართოთ ყველა ზემონათქვამს. ჩვენ ვნახეთ და ვცაოდეთ ნაფოტის ტივტივი, ნაფოტის ჩაძირვა, ქვის ჩამოვარდნა, ნაფოტის დაწვა,

რკინის შეერთება გოგირდის სიმთავრესთან, — ყოველივე ეს არის „მოვლენა“. ნაფოტის ჩაძირვა წყალში მოვლენაა, ნაფოტის წვაც მოვლენაა, მაშასადამე მოვლენა არის საგნის ცვლილება. რა ცვლილება მოუვიდა ნაფოტს? ნაფოტი წყალზე ტივტივებს. თვითონ ნაფოტის ნივთიერება შეუცვლელი რჩება. ასეთ მოვლენას რომელიც საგნის ნივთიერებას არა სცვლის, უწოდებენ ფიზიკურ მოვლენას. ავიღოთ ახლა ნაფოტის წვა. ნაფოტის ნივთიერება მთლად იცვლება, თვითონ ნაფოტი იკარგება სამუდამოდ. ნაფოტის წვა კი, ქიმიური მოვლენაა: ისეთი მოვლენა როცა თვით საგანი, რომელიც მოვლენას ახდენს, სამუდამოდ იკარგება, არის ქიმიური მოვლენა. ფიზიკა არის მეცნიერება, რომლის შემწეობით, ადამიანი ფიზიკურ მოვლენათა სწავლობს. ქიმია-კი ასწავლის ქიმიურ მოვლენათა.

მაგარი ნავთობებისა, სითხე და ჭკერ გარდა (ГАЗ). დედამიწის ზურგზედ მოიპოვება ნივთიერება სამნაირ მდგომარეობაში: ჰაერგვარ, თხელსა და მაგარში. მაგარ ნივთიერებას, თუ ხელით გავსინჯავთ, მაგ ქვას, ვიგრძნობთ, რომ ის ცოტათი თუ შეტად მაგარია. ამის გარდა ქვას აქვს თავის გარეგნობა, რომელსაც დიდი ხნობით ინარჩუნებს. სითხეს, ანუ თხელ ნივთიერებას, მაგ. წყალს, არა აქვს ერთი რომელიმე გარეგნობა; იმის გარეგნობა დამოკიდებულია იმ ჰურქლის გარეგნობაზედ, რომელშიც არის მოქცეული. შესამე მდგომარეობა ნივთიერებისა, ჰაერგვარია, ანუ მოკლედ რომ ვთქვათ, გაზია. ეს მდგომარეობა უფრო ძნელი ასახსნელი და წარმოსარდგენია, ვიდრე პირველი ორი. ყოველ ახალ ცოდნას და ახალ შეგნებას ადამიანი იძენს ცდით. ესრე მოვიქცეთ ახლაც. ხომ ხედავთ, ეს ჭიქა ცარიელია. გადავებრუნოთ და ნელა ჩაუშვათ წყლით სავსე ბადიაში. წყალი ჭიქაში ნახევრამდის ავიდა. სხვა დანარჩენი ადგილი თქვენი აზრით ცარიელია, რადგანაც შიგ არაფერ ნივთიერებას არ ვხედავთ. მაგრამ, ეს თქვენი აზრი შემცდარია. ამას ეხლავე დაგიმტკიცებთ. ავწიოთ ცოტათი ჭიქის პირი. შეხებთ, ჭიქიდგან ბუშტი გამოხტა. ამის

შემდეგ წყალმა თავისუფლად აავსო ქიქა. როგორა ფიქრობთ, რა იქერდა აქამდის წყალს, ან ეს ბუშტი საიდგან გაჩნდა? არ-საიდგან, ეს ბუშტი ის ჰაერია, რომელიც იდგა ქიქაში და რომელიც არ უშვებდა წყალს ზევით. როგორც კი ჰაერი გამოვიდა ქიქიდან, წყალი ძირამდის ავიდა. მაშასადამე, როგორც დაინახეთ ქიქაში იდგა ჰაერი, ჩვენ კი ვერ ვხედავდით. აი ამ ოთახში, ჩვენ ირგვლივ ჰაერი გვახვევია. განა მარტო ოთახში, ყოველგან არის ეს უჩინარი ნივთიერება. ჰაერი თავის თვისებებით ემგზავსება გაზს. ისიც გაზივით უფერო, სუმბუქი და გამკვრივალე არის. ამიტომ მეცნიერებაში ჰაერს ხშირად გაზის სახელით იხსენიებენ. ერთი და იგივე ნივთიერება, ჩვენ შეგვიძლიან ბუნებაში სამივე შემოთადრინებულ მდგომარეობაში ვნახოთ. მაგ. წყალი ხომ თხელია? ზამთარში კი იყინება, მაშასადამე მაგარ ნივთიერებად ხდება. დუღილის დროს კი წყალი, ორთქლად გადაქცეული ზევით მიდის. ორთქლიც გაზის მგზავსი ნივთიერებაა: ყინული, წყალი და ორთქლი ერთსა და იგივე ნივთიერებას წარმოადგენენ, მხოლოდ, სხვა და სხვა შემთხვევაში, სხვა და სხვა სახეს იღებენ. ანუ, მეცნიერული ენით რომ ვილაპარაკოთ, ერთსა და იმვე ნივთიერებას შეუძლიან იყოს სამნაირ მდგომარეობაში. წყლის ესა თუ ის მდგომარეობა დამოკიდებულია ჰაერის სითბო-სიცივეზე და განა მარტო წყალია ამ დამოკიდებულებაში, სხვა, რომელსაც გინდათ ნივთიერებას, ხან მაგარ ნივთიერებად ვაქცევთ, ხან სითხედ, ხან ჰაერგვარად. ამისთვის საჭიროა მხოლოდ მომეტებული სითბო, ან—სიცივე. მაგ. ავიღოთ კალის ნაქერი, დავდოთ რკინის კოვზზე და დავიჭიროთ ცეცხლზე. ხედავთ, კალა გადნა, გათხელდა. თუ ცეცხლს გავაძლიერებთ, კალის სითხე ორთქლად იქცევა, მაშინ კალის მაგივრად ჩვენ გვექნება ჰაერგვარი. ამ რიგად მაგარი ნივთიერება გადავაქციეთ ჯერ სითხედ, მერე ჰაერგვარად. პირიქით, შეიძლება ჰაერგვარი ვაქციოთ ჯერ სითხეთ, მერე მაგარ ნივთიერებად. მაგ. ჰაერი თუ გავაყვით, ჯერ შეიკმუშება, თუ მოვუმატეთ სიცივე, სითხედ იქცევა და

ბოლოს, თუ სიცივე გაძლიერდა, მაგარ ნივთიერებად/გარდაიქმნება.

ორთქლად გარდაქცევა და დუღილა. სითბეს ღორღობად გარდაქცევა შეიძლება ორი საშუალებით. პირველი: მათლაბაზედ დავასხათ რამდენიმე წვეთი წყალი. უკვირეთ, წყალი თანდათან შრება; ნახეთ მათლაბა მთლიად მშრალია. წყლის წვეთები ნელ-ნელა ორთქლად იქცნენ. აი ეს არის ორთქლად გარდაქცევა.

ეხლა მეორე საშუალება ვნახოთ: ჩავასხად ქვაბში წყალი და შევდგათ ცეცხლზე. ცოტა ხნის შემდეგ წყალი გათბება, და ნელ-ნელა ორთქლდება, რაც დრო გადის, წყალი მით უფრო ცხელდება და ორთქლიც ძლიერდება; გავა კიდევ რამდენიმე ხანი და წყალი ისე გაცხელდება, რომ თითოთ ველარ სინჯავთ, მალე იწყობს დუღილს. წყლის ზედა პირზედ მოტივტივდა მრავალი ორთქლის ბუშტი. თუ დუღილი გაგრძელდა, წყალი სულაც ამოშრება. ამ მოვლენას, რომელიც ეხლა აგიწერეთ, ვეძახით დუღილს. დუღილსა და ორთქლად გარდაქცევის შუა, ის განსხვავებაა, რომ პირველ შემთხვევაში, წყალი გაცილებით ჩქარა იორთქლება, სანამ მეორე შემთხვევაში.

წყლის გამოხდა. აბა ახლა ცივი მათლაბა დავიჭიროთ ადუღებულ წყალზე. ხომ ატყობთ, როგორც კი ორთქლი მოხვდება მათლაბას იკუმშება და წყლად გარდაქცეული, წვიმის მგზავსად ძირს ცვივა. ეს წყალი რომ შევავაროვოდ და გამოვიკვლიოთ, ვნახავთ, რომ მასში არავითარი ნივთიერება არ მოიპოვება. ის არის წმინდა წყალი. ყოველი ნივთიერება, რომელიც ამ წყალში იყო, ქვაბის ძირზედ დარჩა. თუ მარილიან წყალს ავადუღებთ, იმის ორთქლისაგან მიღებული წყალი სრულიად უმარილო იქნება, მარილი მთლიად ქვაბის ძირს დარჩება. ამ საშუალებით სწმენდენ წყალს. აი რაში მდგომარეობს წყლის დაწმენდა: წყალს ადუღებენ სითბოს შემწეობით რასაკვირველია, აქცევენ ორთქლად. ამ ორთქლს, სიცივის გავლენით, ისევ წყლად აქცევენ და ამ წყალს ნახად წყლად უწოდებენ.

სამკვრავ, ზევით მე გიჩვენეთ ცდა, რომლითაც დავა-
მტკიცებ ჰაერგვარის არსებობა. გავიმეორებ ეს ცდა კიდევ,
ამ კიქას, როგორც წინადა, გადავაბრუნებ და ჩაუშვებ წყლით
საესე ბაღიაში. კარგად უცქირეთ, კიქის ნაპირი მხოლოდ
ოდნავ ეკარება წყალს. ამიტომ ჰაერი კიდევ შედის და
აესებს კიქას. ცოტა დაბლა რომ დაუშვა კიქა, წყალი შევა,
მაშასადამე ის აღგილი, რომელიც ჰაერს ეჭირა დაპა-
ტარავდება და ჰაერი შეიკუმშება. სულ ძირამდის რომ
დაუშვათ კიქა, წყალი ზევით ავა და ჰაერი კი უფრო
ძრიელ შეიკუმშება. ამ ცდით მე მინდა გავაცნოთ ჰა-
ერის ერთ-ერთი თვისებადგანი: ჰაერის შეკუმშვა. თუ
კიქას ზევით ამოვწევთ, ჰაერი თავის თავად გაგანიერ-
დება. აი იმ თვისებას, რომლის შემწეობით, ჰაერი იკუმშება
და განიერდება, უწოდებენ ჰაერის სიმკვრივეს. ეს თვისება
აქვს ყველა ჰაერგვარს. ყოველი გაზი შეგვიძლიან რამდენიც
გვინდა შევკუმშოთ, და თუ თავს დავანებებთ თავის თავად
გაგანიერდება გაფართოვდება. მაგარი ნივთიერება ძნელად
იკუმშება. სითხეს, კი მაგალითად წყალს, უნდა მოვანდომოთ
აუარებელი, ღონე რომ ოდნავ მაინც შევკუმშოთ. ერთი
სიტყვით შეიძლება ვთქვათ, რომ მაგარი ნივთიერება თითქმის
არ იკუმშება. არავითარი მანქანის შემწეობით არ შეიძლება
მაგ. რკინის და წყალის, არც შემკუმშვა, არც გაგანიერება.
ყოველივე ეს კი შეიძლება სიცივის და სითბოს მეოხებით.

6. ლომაური

(გაგრძელება შემდეგში).





მეფე გიორგი მეხამე



ავით აღმაშენებელმა სიკვდილის წინ თვისი შვილი დიმიტრი გამოაცხადა მეფედ და გვირგვინი თვითვე დაადგა. დიმიტრიმ იმეფა 1125 წლითგან 1155 წლამდე სრული ოცი წელიწადი, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულმა პატიანემ არ შეგვინახა არა-

ვითარი ცნობა ამ დროს შესახებ. მხოლოდ სომხის ისტორიკოსები გვატყობინებენ რაედენსამე ამბავს დიმიტრის დროისას, რაოდენადაც კი ეს ამბები შეეხება სომხებით დასახლებულს ადგილებს. ამ ცნობებით ჩანს რომ, დავით აღმაშენებლის დროს გაძლიერებულს საქართველოს დიმიტრის მეფობაში უხდებოდა ბრძოლა მეზობელს სახელმწიფოებთან თავის სამძღვრების და გავლენის დასაცავად.

იმ ამბავთა შორის, რომელთაც მოგვითხრობენ სომხის ისტორიკოსები, აღსანიშნავია შემდეგნი:

დავით აღმაშენებლისაგან ანის ქალაქის გამგებლად იყო დაყენებული აბულეთ ორბელიანი. დავითის სიკვდილის შემდეგ, 1126 წ. სპარსეთში მყოფი ანის უკანასკნელის ამირას (მფლობელის) შვილი ფადლონი სპარსთა ჯარით წამოვიდა და მიადგა ანს, გამოდევნა აბულეთ ორბელიანი და დაიჭირა ქალაქი. ანი უკვე აღებული ჰქონდა ფადლონს, როცა დიმიტრი მეფე გაემართა მის წინამდევ. ფადლონმა დაინახა, რომ

კუდად იყო საქმე და სთხოვა დიმიტრის იგი ეცნო ანის მფლობელად. სამაგიეროდ დაჰპირდა ხარჯის ძლევას და მო-
რჩილებას. დიმიტრი დათანხმდა და ამნაირად ანტი დაუბრუნ-
და ისევ იველის მფლობელის გვარს.

1135 წ. დიმიტრი მეფემ მიანდო აბულეთ და ივანე
ორბელიანებს ვალაშქრება დასაპყრობად დოვინის ქალაქისა,
რომელიც სამის წლის წინად დაიჭირეს სპარსელებმა მოუ-
ლოდნელად. ქართველები შეებრძოლნენ სპარსელებს, რო-
მელთაც წინამძღოლობდა ათაბაგი ელდიგუზი, და დამარცხ-
დნენ. ორბელიანები ტყვედ ჩაუვარდნენ მტრებს. ელდიგუზმა ამ
სასიხარულო ამბის მუდამ მოსაგონებლად მოაქრევინა თავები
დახოცილის ქართველებისა, მოახარშვინა და ძვლები დააწყო-
ბინა დოვინის მინარეთის სახურავზე და ქალაქის კედლებზე.
დიმიტრი მეფემ მხოლოდ ორის წლის შემდეგ (1137 წ.) გა-
ილაშქრა და დაიხსნა ქართველი ტყვეები.

1153 წ. არზრუმის მფლობელი სალდუხი შემოესია სა-
ქართველოს და მიადგა ანის ქალაქს. დიმიტრი მეფემ ანის
დასაცველად გაგზანა ჯარი, რომელმაც დაამარცხა თურქები
და თვით სალდუხიც დაატყვევა.

დიმიტრის მეფობაში დიდებულთა შორის გამოჩენილნი
იყვნენ უმეტესად ორბელიანები, რომელთაც საუკეთესო ადგი-
ლები ეჭირათ სახელმწიფოში. ამ ორბელიანთა ჩაგონებით
ჩამოვარდა უსიამოვნება და მტრობა დიმიტრის შვილების
დავითის და გიორგის შორის. დიმიტრი მეფემ დაიჭირა
გიორგის მხარე, რისგამოც დავითი მამის უკმაყოფილო შეი-
ქნა. საქმე იქამდის მივიდა, რომ დიმიტრემ 1150 წ. თავის
მემკვიდრედ გამოაცხადა გიორგი, უმცროსი შვილი. ამან ხომ
უფრო გააბრაზა დავითი და მისი მომხრენი. ამათ შეთქმულო-
ბა გამართეს 1155 წ. და აიძულეს დიმიტრი, რომ მეფობაზე
ხელი აეღო და ბერად შემდგარიყო. დავითმა თავის თავი
მეფედ გამოაცხადა.

ძალად გამეფებულმა დავითმა ამოხოცა ბევრი დიდებუ-
ლი, რომელნიც გიორგის მომხრეობდნენ, და დაუწყო დევნა

ყველას, ვინც საეკვოდ მიაჩნდა. მოსალოდნელი იყო დიდი უბედურება, თუ მალე არ მომკვდარიყო. დავითმა იცოცხლა მხოლოდ ექვსს თვეს. ამბობდენ, ვითომ იგი მთელს მსოფლიოს სხვა-ბატ ორბელიანს, იმიტომ რომ მას წაართვა ამირსპასალარობა და მისცა თირქაშ ორბელიანს. მომაკვდავმა დავითმა მეფობა უანდერძა თავის მკირეწლოვანს შვილს დიმიტრის, ხოლო სამეფოს გამგედ შვილის დავაგაკაცებამდე დანიშნა თავისი ძმა გიორგი. აღზრდა თავის შვილისა მიანდო ივანე ორბელიანს

დავითის საკუდილის შემდეგ სამეფოს მართვას შეუდგა ძმა მისი გიორგი, რომელმაც მიუხედავად დავით მეფის ანდერძისა თავის თავი მეფედ გამოაცხადა (1156 წ.). ასეთი საქციელი გიორგიმ დააფუძნა იმაზედ, რომ დავითი ძალად იყო გამეფებული, მისი საკუდილის შემდეგ მამა მისი კიდევ ცოცხალი იყო და მაშასადამე მეფობა ისევ მას უნდა დაბრუნებოდა. მაგრამ რაკი დიმიტრი ბერად იყო შემდგარი და აღარ ინება გამეფება, მეფობა ეკუთნოდა მას, ვინც წინადვე იყო გამოცხადებული მეფედ თვით დიმიტრი მეფისგან, ე. ი. გიორგის.

მას აქეთ, რაც ანი ისევ ძველის მფლობელის ჩამოშვალმა დაიჭირა, მისი მფლობელები მუდამ მეცადინეობაში იყვნენ სრულებით გათავისუფლებულიყვნენ საქართველოს დამოკიდებულებითგან. ასეთს მეცადინეობას გიორგის მეფობის დასაწყისში ზედ დაერთო ანის მფლობელის გვარის წევრთა შორის ქიშპი და დავა. ფადლონმა თავის ძმას შადადს წაართვა ანის მფლობელობა და ატყდა იმიტომ მათ შორის დავიდარება. ამ დავიდარების მოსასპობად და ქალაქის მტკიცედ დასაკავშირებლად საქართველოსთან გიორგი მეფემ 1161 წ. დაიჭირა ეს ქალაქი, განდევნა ფადლონი და გამგებლად დააყენა ივანე ორბელიანი. აქედგან გაილაშქრა აშორნი, რადგან ამ ქვეყნის მფლობელი შაპ-ერმანი ხელს უწყობდა ანის მფლობელთა მისწრაფებას.

ქართველების დაბრუნების შემდეგ შაჰ-ერმანი შეუდგა სამზადისს ქართველთათვის სამაგიეროს გადასახდელად. მიიღე შევლია სირიის, მესოპოტამიის, დიარბექირის და ანტაქის მფლობელები და იმავე წელს მიაღვა ანის ქალაქს, ერთის ისტორიკოსის თქმით, 80,000 ჯარის კაცით. გაიგო თუ არა ეს ამბავი გიორგიმ, სწრაფად შეაგროვა 7000 კაცი და დაუყოვნებლად გაეშურა ანისკენ. პირველსავე შეხვედრაზე ქართველებმა დაამარცხეს მტრები და გააქციეს. გამარჯვება ისე დიდი იყო, რომ ქართველთაგან დატყვევებულთა რიცხვი აღიონდა 23,000 კაცამდე. ტყვეთა შორის ერია არზრუმის სულთანი საოდუხი, რომელიც რვა წლის წინადაც იმავე ანის ქალაქთან ტყვედ ჩაუვარდა დიმიტრი მეფეს. იმისთვის რომ ანი უფრო ერთგული ყოფილიყო, გიორგი მეფემ ამ ქალაქის გამგებლად დანიშნა ანელივე სომეხი სათუნი. მაგრამ მოსტყუვდა. სათუნი არ გამოდგა სანდო კაცი, ის აპყვა მეზობელის მფლობელების ინტრიგას. გიორგი მეფემ ამის გამო ჩამოართვა გამგეობა და მის მაგიერ დანიშნა სარგის მხარგრძელი, ხოლო გაქცეული სათუნი შემდეგში შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა ლალატისათვის.

დოვინი 1132 წლის აქეთ ისევ სპარსელებს ექირათ. გიორგი მეფემ ამ ქალაქის დასაბრუნებლად გაილაშქრა 1132 წ. ქართველებმა აიღეს ქალაქი და დიდის პატივის ცემით მოიხსენიეს 1135 წ. დახოცილი ჯარის-კაცები, რომელთა თავის-ქალები კიდევ ელაგა თვალსაჩინოდ მინარეთის სახურავზე და ქალაქის კედელზე. მეფის ბრძანებით ეს თავის-ქალები მოწიწებით ჩამოიღეს, ჩაალაგეს კუბოებში და ზედ ოქრო-ქსოვილები დაათარეს. შემდეგ ძვლებით სავსე კუბოები აპკიდეს ზურგზე მუყარებს (მუსულმანთა სასულიერო პირები) და ფეხშიშველებს წაადებინეს ტფილისში. თვით მინარეთი, რომელიც ოცდაშვიდის წლის განმავლობაში ახსენებდა დვინელებს ქართველების დამარცხებას, დაარღვიეს. ამას გარდა ქართველებმა წამოიყვანეს ტყვედ 60,000 კაცამდე.

გიორგი მეფის ასეთის გამარჯვების შემდეგ ათაბაგმა ელდიგუზმა მოუწოდა მეზობელს მფლობელებს და სთხოვა გაელაშქრათ ქართველებზე. მეზობლებმა თანხმობა გამოუცხადეს და შეუდგნენ სამზადისს. ელდიგუზმა არ დაუცადა მათთან შეერთებას და თავის ჯარით გადმოვიდა საქართველოს სამზღვრებზე (1163 წ.), დაიქირა გაგის ციხე და იწყო მდამო ქვეყნის აკლება. ამ ამბის გაგებისათნავე გიორგი მეფე სწრაფად გაემართა დასახვედრად. ქართველების შიახლოვებაზე ელდიგუზი უკან გაბრუნდა. გიორგი მეფეს უნდოდა დასდევნებოდა უკან, მაგრამ დიდებულების რჩევით შეჩერდა და დარწმუნებულმა, რომ მტერი ველარ გაბედავდა ხელმეორედ შემოსევის, ჯარი დაითხოვა, ხოლო თითონ მცირედენის რაზმით დარჩა ლორისა და დამნისის შორის და დაიწყო ნადირობა.

გაქცეულს ელდიგუზს მალე შეუერთდნ მოკავშირეები. ამით გადასწყვიტეს პირველად აელოთ ანი. ამ ქალაქს მიადგა 50,000 მტრის ჯარი. აქ მალე შეიტყვეს, რომ გიორგი მეფე იმყოფებდა რაზმით ლორის ახლო. რადგანაც წარმოდგენა არა ჰქონდათ, თუ რაოდენი იქნებოდა ეს რაზმი, გაგზანეს მეფესთან ვითომ მოციქულად მზვერავები. როდესაც მტრებმა გაიგეს მოციქულებისაგან, რომ მეფე თითქმის მარტოდ იმყოფებოდა უჯაროდ, მაშინათვე გამოგზანეს მეფის შესაპყრობლად საკმაოდ დიდი ჯარი. ეს ჯარი მივიდა ქართველების ბანაკთან დილა-ადრინ, როდესაც ჯერ კიდევ ეძინათ მეფესაც და მის მხლებლებსაც. მტრის ხმაურობაზე გამოღვიძებული ქართველები ფიქლავ მოახტნენ ცხენებს. გულ-ფიცხი და მამაცი მეფე მზად იყო შეჭმობდა მტრებს, მაგრამ დიდებულებმა ურჩიეს გაქცევით თავის დახწევა აუარებელის მტრისაგან. ხელცარიელი გაბრუნდა მტრის ლაშქარი ანისაკენ. მოკავშირეები რავდენსამე ხანს მცვადინეობდნენ ანის აღებას, მაგრამ ვერც ეს მოახერხეს და იძულებულები გახდნ უკან წამოსულიყვნენ და სრულებით ხელი აელოთ ლაშქრობაზე.

ხელი არ აიღეს მხოლოდ ანის ძველის მფლობელის გვარის წევრებმა თავიანთ მეცადინეობაზე, რომ რეგულარულად დაებრუნებინათ თავიანთ მფლობელობა ანში. ისინი სულსა და ძინა-დნენ გიორგი მეფეს მოციქულებს და ჰპირდებოდნენ ერთგულებას და მორჩილებას, თუ დაუბრუნებდა ანს. მათთვის შუამდგომლობდნენ თვით ხორასნის სულთანი და ელდიგუზ ათაბაგი. გიორგიმ დაინახა, რომ ისინი არ დაწყნარდებოდნენ თუ არ შეასრულებდა იმათ თხოვნას, და ამიტომ დააბრუნა ისინი ანში და ანის მფლობელად დაამტკიცა ასლან მაჰმადის შვილი.

ამის შემდეგ ჩამოვარდა მშვიდობიანობა და მტრის შემოსევას აღარ შეუწყუბებია საქართველო. თუ წერილიანს დარბევს გაბედავდნენ ხოლმე რომელსამე სამზღვარზე, გიორგი მეფე უსევდა ჯარს და ბევრ-კეცად უხდიდა სამაგიეროს. 1167 წ. გიორგი მეფეს მოუხდა ლაშქრობა დარუბანდელეზის წინამდევ, რომელთაც გამოაძიეს შირვანის მფლობელი აღსართანი—მორჩილი და მონათესავე მეფისა (დავით აღმაშენებლის შვილის შვილი). ქართველებმა განდევნეს შირვანიდან დარუბანდელნი და დაამკვიდრეს შირვანში აღსართანი.

1174 წ. გიორგი მეფემ გადააყენა ანის მფლობელი შირ-შაჰი და გამგებლად ისევ ქართველი დააყენა—ივანე ორბელიანი. ამირ-შაჰს წაეჭომაგა თურქების სულთანი აღჰარსლანი და შიადგა ანის ქალაქს, მაგრამ ვერ მოახერხა მისი აღება და უკნავე დაბრუნდა.

გიორგი მეფე იყო მხნე, მამაცი და მტკიცე ხასიათის კაცი. ასეთის თვისების გამო დიდებულებს არ შეეძლოთ იგი ჩაეგდოთ თავიანთ გავლენის ქვეშ, რის გამოც უკმაყოფილონი იყვნენ. ყველაზედ მეტად უკმაყოფილებას გრძნობდნენ ორბელიანები, რომელთაც მისი მამა დიმიტრი ხელთ ეჭირათ და ამიტომ მის მეფობაში დიდი გავლენა ჰქონდათ. თავიანთ გავლენის აღდგენას საქართველოში ახლა ორბელიანები ამყარებდნენ მეფის ძმის წულს დიმიტრიზე, რომელიც

დავით მეფემ მათ მიანდო აღსაზრდელად. რადგან გიორგი მეფეს არა ჰყავდა ვაჟი-შვილი, დიმიტრი თავისთავად უნდა გამხდარიყო მეფედ გიორგის სიკვდილის შემდეგ. უეჭველია, როდესაც ის გამეფდებოდა, ორბელიანებიც გავლენას მოიპოვებდნენ თავიანთ აღზრდილის წყალობით. მაგრამ ამ დიდებულთა გვარმა ვერ მოითმინა დიმიტრის კანონიერად გამეფებადნე და მოინდომა გიორგის სიკოცხლეშივე გაემეფებინა ის, მით უფრო რომ ორბელიანებს ჰქონდათ ვითომ საფუძველი გიორგის სიკოცხლეშივე დიმიტრის გამეფების კანონიერებისა. დიმიტრის მამამ დავით მეფემ სიკვდილის წინ ტახტი უანუერძა თავის შვილს, სამეფოს გამგებლობა კი მის სრულწლოვანობამდე მიანდო თავის ძმას გიორგის. ორბელიანებმა ხელი ჩასქიდეს დავით მეფის ასეთს განკარგულებას და მოინდომეს მის ძალით დიმიტრის გამეფება და გიორგის ტახტითგან გადაყენება, როდესაც დიმიტრი სრულწლოვანი შეიქნა. ორბელიანებმა მიიმხრეს ბევრი სხვა დიდებულებიც და 1177 წელს შეუდგნენ თავიანთ სურვილის განხორციელებას. გადაწყვეტილი იყო დიმიტრის მომხრეებს უნდა სომხეთში ორბელიანთ მამულში მოეყარათ თავი, იქითგან მოულოდნელად დასცემოდნენ ტფილისში გიორგი მეფეს, შეეპყრათ იგი და დიმიტრი გამოეცხადებინათ მეფედ.

გიორგი მეფემ შეიტყო ორბელიანებისა და სხვა დიდებულების განძრახვა და თავისებურის სისწრაფით გადაწყვიტა შეთქმულობის ჩაშლა და შეთქმულთა დამხობა. ხელად შეკრიბა 5,000 კაცი და გაგზანა სომხეთში ყუბასარის წინამძღოლობით. რავდენისამე დღის შემდეგ თითონაც გაემართა იქითკენ სხვა ჯარით. ეს ამბავი რომ გაიგეს შეთქმულობის მონაწილეთ, სახტად დარჩნენ და შეშინდნენ, რადგან იმათ უფრო მოულოდნელად შეუფხე თავდასხმის იმედი ჰქონდათ. ახლა კი თვითონ მეფე ესხმოდა მათ მოულოდნელად. ბევრმა დიდებულმა არჩია მაშინვე გიორგის მხარეზე გადასვლა და შეწყყნარების თხოვნა. ორბელიანებმა რომ დაინახეს ერთის მხრით გიორგი მეფის მათ წინამძღვ

ამხედრება, მეორე მხრით ზოგიერთა თავიანთ მომხრეების გადასვლა შეფის მხარეზე, არჩიეს გამაგრება ლორის ციხეში. გიორგი მეფემ დაიჭირა მამულები ორბელიანებისა და მათ მიმდგომის აზნაურებისა და სხვა დიდებულებისა. აქ გიორგი მეფემ გაიგო, რომ ორბელიანების დასახმარებლად კახეთში მოეგროვებინათ იქაურს დიდებულებს ჯარი და აპირებდნენ სომხეთისკენ წამოსვლას. მაშინვე მეფემ გაგზანა ჯარი კახეთისკენ ქიაბერის წინამძღოლობით. ქიაბერმა დაამარცხა განდგომილთა ჯარი და შეიპყრო უმთავრესი მოთავენი.

ლორის ციხეში გამაგრებულმა ორბელიანებმა გაგზანეს დიმიტრის სახელით მოციქულები შაჰ-ერმანთან და აღირბეჟანის მფლობელთან შემწეობის სათხოვნელად. გიორგი მეფე მიადგა ლორის ციხეს და შემოარტყა ალყა. გარემოცვამ გასტანა დიდხანს. შემწეობა არსაიღვან მოსდიოდათ ორბელიანებს. ბევრს ციხეში გამომწყვდეულს გული გაუტყდა, დაეკარგა გამარჯვების იმედი და გადასწყვიტეს დანებებოდნენ მეფეს. მხოლოდ ორბელიანები იყვნენ ამის წინააღმდეგ და არნდომულობდნენ დამორჩილებას. მაშინ ბევრი დიდებულთაგანნი საიდუმლოდ ჩამოეშენნენ საბელის შემწეობით ციხის კედელზე და მივიდნენ მეფესთან. აგრეთვე მოიქცა დიმიტრი, რომელიც ყელ-საბელ-მობმული მივიდა ბიძასთან და სინანული გამოუცხადა. ამის შემდეგ ბევრს ხანს ვერ გასძლეს ციხეში ორბელიანებმა, ისინიც გამოვიდნენ ციხითგან და დანებდნენ მეფეს. ორბელიანები უკვე გიორგი მეფის ხელთ იყვნენ, როდესაც სპარსეთითგან მათის თხოვნით დაიძრა 60,000 კაცი დიმიტრის მოსაშველელად. ამ ჯარმა გზაში გაიგო დიმიტრის შეპყრობა და უკანვე დაბრუნდა.

გიორგი მეფემ მკაცრათ დასაჯა განდგომილები. დიმიტრი დააბრმავა და გამოასაქურისა, ესე იგი ისე დაამახინჯა, რომ შვილი აღარ ეყოლებოდა, ორბელიანებს კი ზოგს სიკვდილი მიუსაჯა, ზოგს დაბრმავება და ზოგს განდევნა საქართველოთგან. მათი მამული კი დაურიგა თავის ერთგულს დიდებულებს. მამულის წართმევეთვე დასაჯა ორბელიანთაგან დამოკიდებული აზნაურები და სხვა მათი მომხრე დიდებულები.

1778 წ. გიორგი მეფემ მოიწვია საეკლესიო კრება, რომელმაც იქონია მსჯელობა ეკლესიის სხვა და სხვა საქიროების შესახებ და მოახსენა მეფეს თავის განაჩენის შესახებ რეზოლუციად.

დიმიტრი, როგორც ვთქვით, ითვლებოდა გიორგის მემკვიდრედ, მაგრამ მის გამოსაქურისების და დაბრმავების შემდეგ მისი გამეფება აღარ შეიძლებოდა. გიორგი მეფეს ახლა საზრუნვად გაუხდა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მის შემდეგ მეფედ. მახლობელი ნათესავი აღარავინ ჰყავდა, რომ იმისთვის გადაეცა მემკვიდრეობა. ამ ზრუნვაში გიორგის აზრათ მოუვიდა თავის ქალის თამარის გამეფება. მართალია, ქალი მანამდე არ ყოფილიყო საქართველოში მეფედ, მაგრამ გიორგის საღს კეყას არ ეუცხოვავის აზრი, რომ ქვეყანს ქალს შეეძლო ისეთივე მეფობა გაეწია, როგორც ვაჟს. თავის ქალის სიკვდიანე კი მისთვის ცხადი იყო. ქალის გამეფების აზრი და მეტადრე თამარისა არ ეუცხოვავათ არც მეფის მრჩეველს დიდებულებს. თამარის გამეფების უზრუნველ-საყოფელად გიორგი მეფემ მოინდომა მის გამეფება თავის სიცოცხლეშივე. 1178 წ. მიიწვია ნაქარმაგვეში (გორის ახლო) კათოლიკოზი, ეპისკოპოზები, დიდებულები და ჯარი, მათ წინაშე დიდის ამბით გამოაცხადა თამარი მეფედ და დაავიკრგინა. ასეთი გამეფება შეიღისა მამის სიცოცხლეში არ იყო იშვიათი საქართველოში. იგი ნიშნავდა უფრო მემკვიდრედ დანიშნვას ვიდრე ნამდვილად გამეფებას, რადგან მეფედ ისევ გიორგი დარჩა სიკვდილამდე.

ორბელიანთ განდგომილებაში მონაწილე აზნაურთ და დიდებულთ დასჯას მამულების წართმევით ერთი საშუაბარო შედეგი მოჰყვა. უშრომელად ცხოვრებას მიჩვეულს აზნაურებს უშამულოდ დატოვების გამო მეტათ გაუძნელდათ ცხოვრება და ამიტომ მიმართეს იარაღით საზრდოს მოპოვებას, ე. ი. დაიწყეს მკარცველობა. ქვეყანა მეტად შეწუხდა გამბედავის ყაჩაღების ცარცვისაგან და დაიწყეს მეფესთან ჩივილი და შემწეობის თხოვნა. ამ ცარცვა-ყაჩაღობის მოსასპობად გიორგი მეფემ

შეადგინა 1180 წ. ჯარის რაზმები და უბრძანა, მოეარნათ ყველა კუთხეები, სადაც ავაზაკობა ხდებოდა, დაეჭირათ ყაჩაღები და შემდეგ ჩამოერჩათ იმ ნივთებითურთ რომელნიც მათ ამოაჩნდებოდათ ნაცარცვი. მეფის ბრძანება სავსებით შესრულებული იქმნა და ამგვარის ღონისძიებით მალე მოისპო ყაჩაღობა.

უკანასკნელი წლები გიორგი მეფემ მშვიდობიანად გაატარა და გარდაიცვალა 1184 წელს.

დ. კარიჭაშვილი.





შობის ხის მოართვა

1 როგორ შეგიძლიანთ თქვენ თითონ გააკეთოთ შობის ხის მოართვა სამკაული.

1) კაკალი აიღეთ, გააპეთ, გამოწმინდეთ, გახურებული წინდის ჩხირით, ან მახათით დახვრიტეთ ნაქუქი სამ-ოთხ ადგილს, შიგ წვრილი კამფეტები, ან რამე ნახატი, ან ქალაღზე დაწერილი კარგი ანდაზები ჩასდეთ. ნახვრეტებში ბრქვეიალა ძაფი გაუყარეთ, შემდეგ ერთმანეთს მიაწებეთ, მოვერცხლეთ, ან მოაოქროეთ და ჩამოაქიდეთ შობის ხეზე.


2) აიღეთ უბრალო ასანთის კოლოფი, შიგ კამფეტები ჩაყარეთ, შემოაწებეთ ფერადი ქალაღი, ზევიდან რამე კარგი ნახატი დააწებეთ, კიდევზე შემოაწებეთ მწვანე ხავსი ჩარჩოს მსგავსათ, მიაბით ბრქვეიალა ძაფი და ჩამოაქიდეთ.

3) კვერცხის ნაქუქსაც კი გამოიყენებს კაცი შობის ხის შესამკობად, ნაქუქის ლამაზი პატარა სანათი გაკეთდება და იმ როგორ: მოსტებედ ოღნაე თავი, ჩაასხით შიდ ზეთუნის ზეთი შუამდე, ჩადეთ პატრუქი, ჩამოაბით შობის ხეზედ და, როცა დრო იქნება, აანთეთ.

4) ძალიან ლამაზია ჯალღუზა შობის ხის ასაკოპწიავებლად. აიღეთ ჯალღუზა, მოაოქროეთ, ზევიდან ფერადი თხელი ქალაღის ლამაზი ბანტი გაუკეთეთ, ჩაარქეთ პატარა ლურსმანი, გამოაბით ძაფი და ჩამოაქიდეთ.

5) ბამბისა შეიძლება ღამაში ნივთების გაკეთება. ძაფით და ბამბით შეგიძლიანთ გააკეთოთ სხვა და სხვა ფიგურები, როგორც მაგალითად ფრინველი, ბერიკა, პეველი და სხვა.

6) კარგად ამშვენებს შობის ხეს ფერადი ქალაღის კარტონის და მავთულისგან გაკეთებული ჯაჭვები. 1) აიღეთ ფერადი ქალაღები, დასკერით წვრილ ლენტებად ერთი ზომის. გადაკერით, შერმედ თავები მიუწებეთ და გაკეთდება




რგოლი. შემდეგ მეორე ფერის ნაქერი აიღეთ გამოუყარეთ რგოლში და თავები დაუწებეთ; ასე განაგრძეთ და, რა სი-

გრძისაც გინდათ, გააკეთეთ. შემდეგ შობის ხეს შემოახვეთ.
2. აიღეთ თეთრი, ან ყვითელი მავთული, შემოახვეთ კარან-
დაშს მაგრად. რამდენჯერმე, გამოაძრეთ და გადაჭერით, კიდევ
ასე გააკეთებთ რამდენჯერმე. შემდეგ ერთი მეორეს შიბამთ
და შობის ხეს შემოახვეთ.

7. გამოჭერით კარდონის რამოდენიმე ვარსკვლავი იმ
ფორმისა, როგორც აქ არის დახატული, სურ. 4) გადააწებეთ
ფერადი ქაღალდი, შიბით ერთმანეთს ლამაზი ლენტებით,
როგორც 72 გვერდზე არის ნაჩვენები და ჩამოაკიდეთ.


8) აიღეთ კარდონი, ისე მაგარი არა, რომ მცირე
მოღუნვით გადატყდეს, დახატეთ ისეთი ფიგურა, როგორც
აქ არის, გადააკრით ფერა-
დი ქაღალდი, სადაც წერტილის
ხაზებია იმ ადგილებში მოღუნეთ
კარტონი, კიდევები შეაწებეთ
და მშვენიერი კოლოფი გამო-
ვა, რომელსაც ორი სახურავი
ქნება; ქაღალდისა, ან ლენ-
ტის ყურიც შიბით.



9) აიღეთ მავთული, მოს-
ქერით ორი ტოლი ნაჭერი,
ორივეზე წამოაცვით ორ-ორი
პატარა პრობკა ეს ფეხები იქნე-
ბა, შემდეგ უფრო მოზრდილი
პრობკა აიღეთ და შიგ გაუყა-
რეთ ერთად ორივე მავთული, ეს მუცელი იქნება. ზევით კი-
დევ ორივე მავთულზე ერთად ჩამოაცვით დიდი პრობკა, ეს
მკერდი იქნება. შემდეგ ეს მავთულები გადაზიქეთ ორივე
მხრით და ორ-ორი პატარა პრობკები წამოაცვით, ეს ხელები.
ახლა თავი: მრგვალ პრობკაზე დახატეთ სახე, ცხვირის ადგი-
ლას ამოჭერით პრობკა და პატარა ცხვირის მსგავსი პრობკა

ჩადეთ, მერმედ მოუსვით თოკზე წებო და რამე მსუბუქი ნაკერი შემოახეიეთ, თალხი ჩითის წამოსასხამი გაუკეთეთ და კისერთან მიაწებეთ, თავში გრძელი ქინძისთავი ან ასანთი ჩაუყარეთ და დაადგით კისერზე. ახლა სათამაშო ქალაქის პატარა კიბე გამოკერით, მსხვილი ძაფის ცოცხი შეკონეთ; მიაწებეთ ხელებზე და თქვენ წინ გამოიქიმება ბუხრის მწმენდავი.





ანდჯაბი და ბაშოცანა

თილისიანი რიცხვი
10,89

აიღეთ სამ რიგოვანი რიცხვი, ე. ი. ისეთი, რომელიც შეიცავდეს ასეულებს, ათეულებს და ერთეულებს; მხოლოდ ერთი პირობა უნდა იყოს დაცული: ასეულების ციფრა უეკველად უნდა აღემატებოდეს ერთეულებსისას 2-თ ანუ მეტი. მაგალითად: 543, 865, 701 და სხვ. ამ რიცხვის ციფრები უკულმა გადასხით. ეს უკანასკნელი რიცხვი პირველს გამოაკელით. შემდეგ ამ ნაშთის ციფრებით გადასხით უკულმა. ეს ახალი რიცხვი შეუერთეთ იმ ნაშთს და ყოველთვის ჯამი შეადგენს ერთს და იმავე რიცხვს—10,89; თუ ზემოაღნიშნული პირობა დაცულია.

მაგალითი: 1. ავიღოთ 543. 2. გადავსხათ ციფრები — 345. 3. გამოვაკლოთ პირველს: $543 - 345 = 198$. 4. გადავსხათ ციფრები: 891. 5. შევაერთოთ: $198 + 891 = 10,89$. 6. ჯამი—10,89.

მარცვლების ამოცანა

(წარმოდგენილი თ. კანდელაკის მიერ)



შეცვალეთ თითოეული ციფრი მარცვლებით ისე, რომ 1 და 2 შეერთებით მივიღოთ თერთი ფერის ლითონი; მე-3 და 4 შეერთებით—ნადირი; 1 და 3-ით—მრგვალი ალაგი და მე-2 და 4-თი—წერილი ქვიშა.

გ ა მ ო ც ა ნ ა .



(წარმოდგენილი თ. კანდელაკის მიერ.)

ჩვენ ტყულები ვართ. ერთი ჩვენგანი მომზო და მაგარია, მეორე კი უფრო წერილი და, მაშასადამე, უფრო სუსტია.

ჩვენ ისეთი განუყრელი ძმობა გვაქვს, რომ ერთ წამსაც არ ვშორედებით ერთმანეთს, თუ ძალათი არ დაგვაშორეს. და თუ ეს მოხდა როდისიმე, ე. ი. თუ გავგაცალკევებს, მაშინ სრულიად გამოუსადეგარი ვხდებით და ჩვენს მოვალეობას ვეღარ ავასრულებთ, სანამ ისევ არ შეგვატყუებენ.

თუმცა ასე შეთვისებული ვართ, ერთობა გვიყვარს, მაგრამ სხვებს კი ვყოფთ და ერთმანეთს ვაშორებთ. ჩვენი მიზანი მხოლოდ ის არის, რომ მთელი ნაწილად ვაქციოთ და რასაც ერთხელ დივანაწილებთ, იმას ვერას გზით ვეღარ გავამთვლებთ; რასაც ერთხელ გავაფუჭებთ, იმისი გაკეთება აღარ შეგვიძლია.

ხან და ხან ლამაზი შეხედულობა გვაქვს, მეტადრე, თუ როგორც რიგია, ისე გვივლიან და გვიფრთხილდებიან.

სისუფთავე გვიყვარს, მაგრამ წყალისა გვეშინია, რადგანაც ის გააშავებს, გვაუშნოვებს და უვარგისად გვხდის.

ზოგჯერ სიმშლილი(კ) ვიცით და ზეთს გვაქმვევენ. თუ თავის ღროზედ საქმელი მოგვაკლდა, ღრიკინს და წრიპინს მოვყვებით ანჩხლი ბავშვებივით.

ყველა ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ჩვენ უფრო ქალებს უყვარვართ და ბავშვებსაც. მაგრამ როცა ბავშვები წამოგვეტანებიან ხელში დასაქერათ, უფროსები მაშინვე „დადე, დადე! ხელი არ ახლო“ დაუტატანებენ.

რა არის ეს ტყუბი? გამოიცანით, ბავშვებო!

ერთი რამ უცხო შეილია,

შორს წაიყვანა ბიძამა;

წინ დახვდნენ ნათესავები,

მაგრამ ვერ იცნო ბიძამა.

ერთი ხე იყო მარშალი,
 იყო გვერდ გამონათალი;
 უკან კაცი მიჯდომია,
 ბრუტიანი და ცალ-თვალი.



ნეტა რა იყო იგი ხე,
 უმიწოდ გაიზდებოდა;
 არცა უნდოდა ხენა-თესვა,
 არც მორწყვა მოუნდებოდა.
 შვიდ წელიწადში ერთხელა
 შიგ ძირში მოიფხვებოდა.

ობროხინი მღვვი გმინავს,
 მასპინძელი სანთელს უნთებს

შ ა რ ა ლ ა

(წარმოდგენილი თ. კანდელაკის მიერ).

პატარა ქალის სახელი
 სამი ასოთი შესდგება;
 უკულმა რომ წაიკითხო, —
 მუშა კაცს ხენაში ერგება.
 თავში თუ უხმოს მიუწერ, —
 ვაჟის სახელად იქცევა.
 ამასაც სხვა უხმო ასო
 წინ მიუმატე ისევა —
 მაშინ შენობას მიიღებ,
 სად ჭკვა-გონება იწრთვნება...
 აბა, ვინ იტყვის საჩქაროდ
 რა და რა სიტყვა იქნება?

სიცილის ხმის ერთ-ერთ მარცვალს
 ღვინის ღვინის მარცვალი სდევს;



შემდეგი კი სადილ-ვახშმის
 დროს უთუოდ სუფრაზე ძევს.
 მთელი სიტყვა საქმელია,
 შიგ მას თეთრი გული უძევს.

(წარმოდგენილი მნაცაქანის მიერ).

პირველი არის ცხოველი,
 ოთხ-ფეხი, შინაურია,
 რქები ასხია, ჰკიდია
 რძით გატენილი ცურია.
 მეორე არის გრძელ-ტარა,
 საკრელად მოსახმარია,
 მხოლოდ პირველის სათქმელად
 ინი არ დაუხმარია.
 ორივეს ერთად შევხედებით
 ყველგან, საითაც გავივლით,
 უფრო სწავლასა და ტყეში,
 თუ დაკვირვებით დავივლით.

(წარმოდგენილი მერცხალას მიერ).

ზაფხულში ცივს წყალს ინახავს,
 შემოზამთრებით ნელდება;
 მეორეს ვხედავთ თეთრად,
 როცა ჰურები ძველდება.

მთელი კი არის ალაგი,
 სად ყველაფერი სველდება,
 ტრიალებს მყაყი და შმორი,
 კაცის სიცოცხლე ძნელდება.





რედაქტორი მარიამ ივანეს ასული დემურიასი.
 გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.



ქართული
ნიუსპირთეკა

„ნაკადული“ მოთავსებული სტატიები წარსული წლისა.

ოზრდილთათვის.

ლექსები:	№№
1. ნაკადული.—აკაკისა.	I
2. ამაყი მუზა.—ვაკელისა	I
3. ჰხედავ პატარავ.—განდევგილისა	II
4. შემოდგომა.—ვაჟა-ფშაველასი	II
5. ახალი წელიწადი.—აკაკისა	III
6. როს შეცქერ მთიდან.—დარია ხუნდაძისა	III
7. ნანა.—ახოსპირელისა	IV
8. გაზაფხული.—ველოშვილისა	V
9. ლოდინი.—ნ—ურისა.	V
10. სხივი.—ველოშვილისა	VI
11. ორი ნაკადული.—თეოფ. კანდელაკისა	VI
12. გაზაფხული.—დ. თომაშვილისა	VII
13. დედის იმედი.—ნ—ურისა.	VII
14. ერთგული მეგობარი.—ნ—ურისა.	IX
15. დატყვევებული ჩიტკი.—კ—სი	X
16. ხალი კლდე.—თომაშვილისა	XI
17. ნატვრა.—თეოფ. კანდელაკისა	XII
18. ლექსი.—ტუსაღისა	VIII
19. საბალხო ლექსები.	VII

მოთხრობანი:

1. ვანკა.—(ანკონ ჩუხოვისა), ინ-ანისა	I
2. შობა ლამე.—(სტანოუ ვეიჩისა) თარგმანი ინ-ანისა	II
3. სიყმაწვილის მოგონებანი.—შვალაბდოსშვილისა	II
4. რათ სცხოვრობდა აბრწივი მარტოდ მალღა.—(ჩუხსულიდან)	II
5. შ. შარაშვილისა	II



5. საბალწლო საჩუქრები.—ნინო ნაკაშიძის	III
6. ნაკადული.—რაზიკაშვილისა	III
7. როგორ ატარებენ ახალწელიწადს გურიაში.—ნ. შიშინისა	III
8. სიყმაწვილის მოგონება.—ს. შვალაბლიშვილისა.	IV
9. ნაკადული.—თეოფ. ხუცევაძისა	IV
10. მახინჯი იხვის ამბავი.—თარგმანი ნინო ნაკაშიძისა	IV
11. სიყმაწვილის მოგონებანი.—ს. შვალაბლიშვილისა	V
12. ნაკადული.—მხარგძელისა.	V
13. გოხნის ვარდები.—ფრანგულიდან	V
14. დედის წერილი.—ნინო ნაკაშიძისა	V
15. წყლის პეველა.—ნინო ნაკაშიძისა	VI
16. პაწია ზღაპარი.—თარგმანი ლომაურისა.	VI
17. გულწითელა.—ფრანგულით, ივ. შატავარიანისა.	VI
18. აღერსისთვის.—თარგმანი კაცო ბაქრაძისა.	VI
19. გაზაფხულის ხუნი.—რუსულიდან, რაზიკაშვილისა	VII
20. შვილი.—თარგმანი ლომაურისა	VII
21. სტუმარი და მასპინძელი.—ალ. შირიანაშვილისა	VII
22. დედის სიყვარული.—ვ. შალაქიაშვილისა	VII
23. ლულუ.—თარგმანი ღ—ისა	VIII
24. შენდობა.—რუსულიდან, ლომაურისა	VIII
25. საბავშვო თეატრი.—ბოცვაძისა	VIII
26. ცვარი.—რუსულიდან, ბაქრაძისა.	IX
27. ზელმწიფის სიტე.—ნ. პაცრიაშვილისა	X
28. ძაღლის ამბავი.—(მარტკვეინისა, თარგმანი ოღლა ბეჟანიშვილისა).	X
29. დაკარგული ბავშვი.—(ფრან. კოპესი, თარგმანი ნ.—ძისა.)	
30. საწყალი ბავშვი.—(თარგმანი ბერიკაცისა.)	XII
31. დაბრკოლება.—(თარგმანი ოღლა ბეჟანიშვილისა)	XII
32. ზღეასთან.—(თარგმანი ნ. თ.—სა.)	XII

ზღაპრები:

1. ლეგენდური.—აკაკისა	I
2. უგულო ადამიანი.—ლომაურისა	VII
3. როგორ გაჩნდენ ზოხბები.—რაზიკაშვილისა	VIII
4. ბაქია და ცრუპენტელა.—თარგმანი ი. შატავარიანისა	IX
5. ბუს ფეხი.—გურული ლეგენდა, რაზიკაშვილისა.	XI
6. ორი მოზეცი.—თარგმანი გაგ. შელისა	XII

ისტორია.

1. ქართველები უძველეს დროში.—ღ. კარიჭაშვილისა	II
2. საქართველოს გაერთიანება და მეფე ფარნაოზი.—კარიჭაშვილისა.	III

3. უძველესი ადამიანი.—ჩავოზინას წიგნიდგან	III
4. საქართველო ფარნაოზის შემდეგ, ქრისტიანობის გავრცელებამდე	IV
5. უძველესი ადამიანი.—ჩავოზინას წიგნიდგან	IV
6. უძველესი ადამიანი.—ჩავოზინას წიგნიდგან	V
7. ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.—კარიჭა შვილისა	VI
8. უძველესი ადამიანი.—ჩავოზინას წიგნიდგან	VI
9. მეფე ვახტანგ გორგასანი და მის შემდეგ დრო.—კარიჭა შვილისა	VII
10. უძველესი ადამიანი.—ჩავოზინას წიგნიდგან	VII
11. საქართველო არაბთა მფლობელობის დროს.—კარიჭა შვილისა	VIII
12. უძველესი ადამიანი.—ჩავოზინას წიგნიდგან	VIII
13. დავით კუროპალატი და ბაგრატ მესამე	X
14. მეფენი გიორგი პირველი და ბაგრატ მეოთხე	X
15. მეფე გიორგი მეორე.—კარიჭა შვილისა	XI
16. მეფე დავით აღმაშენებელი.—კარიჭა შვილისა	XII

ბიოგრაფიები.

1. გიორგი ერისთავი. (გარდაცვალებიდან 40 წლის შესრულების გამო) I	
2. სტეფანე ზუბალაშვილი	I
3. პაეღე კრიუგერი	II
4. ერთი შემთხვევა ლორდ ბაირონის ცხოვრებიდან.—ნ თ—სა	IX
5. ჯუზეპე ვარიბალდი, იტალიის განმათავისუფლებელი	XI
6. ანდერსენი.—ძია ვალკოსი	XII

ბუნების მეცნიერება.

1. საუბარი მცენარეთა ყოფა ცხოვრებაზე.—ილ. აღმაშენებლისა	I
2. საუბარი მცენარეთა ყოფა ცხოვრებაზე.—ილ. აღმ.	II
3. საუბარი მცენარეთა ყოფა ცხოვრებაზე.—ილ. აღმ.	III
4. ზოოლოგია.—პოლ-ბერიხა, თარგმანი პ. სურგულაძისა	III
5. საუბარი მცენარეთა ყოფა ცხოვრებაზე.—ილ. აღმ.	IV
6. ზოოლოგია.—პოლ-ბერიხა, თარგმანი პ. სურგულაძისა	IV
7. პოლბერის საუბარი.—თარგმანი ი. შ—ანისა	V
8. ზოოლოგია.—პოლ-ბერიხა, თარგმანი პ. სურგულაძისა	V
9. საუბარი მცენარეთა ყოფა ცხოვრებაზე.—ილ. აღმ.	VI
10. ზოოლოგია.—პოლ-ბერიხა, თარგმანი პ. სურგულაძისა	VI
11. ზოოლოგია.—პოლ-ბერიხა, თარგმანი პ. სურგულაძისა	VII
12. ზოოლოგია.—პოლ-ბერიხა, თარგმანი პ. სურგულაძისა	VIII
13. ზოოლოგია.—პოლ-ბერიხა, თარგმანი პ. სურგულაძისა	IX
14. რას ამბობდა ჩარლზ დარვინი?—მხარ გრძელისა	X
15. ზოოლოგია.—პოლ-ბერიხა, თარგმანი პ. სურგულაძისა	X



16. ზოოლოგია.—პოლ-ბერიხა, თარგმანი პ. სურგულაძისა XI
 17. ზოოლოგია.—პოლ-ბერიხა, თარგმანი პ. სურგულაძისა XII

ნ ა რ ე ვ ი.

1. ა) ელექტრონის ხე, ბ) სახელი პორტარტური საიდგან წარმოსდგა? გ) ზღვაში დაღუპვისაგან გადაშრჩენელი ახლად გამოგონილი ნაეი, დ) კაცის მკამლეობთან ტყვედ I
 2. ა) საკვირველება ცხენი, ბ) მომღერალი ხე, გ) მოქანავე კლდე II
 3. უცნაური IV
 4. კართოფილი V
 5. უზარმაზარი მეტეოროიტი VI
 6. ა) აღდგომის კვერცი, ბ) სახალხო განათლება იაპონიაში VII
 7. ბავშვების ახალშენი VIII
 8. მების ამბები IX
 9. ა) ახალი სკოლა, ბ) ამერიკელი მოსწავლე ქალები X
 10. პურ ს ხე XI
 11. მოვლენა ფერად სხივებისა მცენარეებზედ XII

სახალისო სამუშაო და გასართობი.

1. ა) ჰაეროსტატი, ბ) სახუმარო, გ) რებუსი II
 2. ა) კალიდესკოპი, ბ) შარადა, გ) რებუსი III
 3. ა) ბუჯითი რძალი, ბ) თავშესაქცევი, გ) გამოცანები, დ) რებუსი V
 ა) ვინ მოიგო, ბ) ჯერის ამოცანა, გ) ჩქარა გამოსათქმელი, დ) ანეგლოტი, ე) შარადა, ვ) გამოცანები, ზ) სადღეგრძელო, თ) რებუსი VI
 4. ა) ხალხური ლექსები, ბ) შარადა, გ) გამოცანები, დ) ენტიზოზი, ე) ასოების ამოცანა, ვ) ახსნა, ზ) რებუსი VII
 5. ა) ლექსი ტუსალისა, ბ) ანდაზები, გ) მარცვლების ამოცანა, დ) ამოცანა გამოცანა, ე) რებუსი, ვ) ახსნა VIII
 6. ა) ვინ როდის დაბადებულა, ბ) გამოცანა, გ) უჯრების ამოცანა, დ) რებუსი, ე) ახსნა IX
 7. შარადა X
 8. ა) შარადა, ბ) ამოცანები XI
 9. ა) ერთად ნუ, ბატონებო, ბ) გამოცანები, გ) შარადა, დ) ლიგო-გრიფი, ე) გასართობი XII

დღეში მოესწრაფება ავთამყოფს. ტყუილად პარხვენ მკედარ ცხვარს: ბაქტერიები გამოდიან მისი სხეულიდან, იფანტებიან მიწაში, სადაც ქიყელები მათ გადაყლაპვენ და ამოიტანებენ დედამიწის ზედა პირზე. აქ ბაქტერია ჩაყეება უბედურ ცხვარს ბალახთან ერთად, ასწეულებს და აწაირად გამოიწვევს ახალ მოარულს.

შხოლოდ ცეცხლი და კირი არის ნამდვილი საშვალემა ბაქტერიების გასაწყვეტად. კიდევ ბევრი პარაზიტებია, რომელნიც უახლოვდებიან სოლიტერს, ტრიხინას და ბაქტერიებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით, რაც ვთქვით, ისიც ვიკმაროთ.

გადავიდეთ ახლა სხვანაირად მვენე ცხოველებზე, სახელდობრ შხამიან ცხოველებზე. იმათ იქვთ პატარა ჯირკვლები რომელნიც გამოიცილებენ შხამიან ნივთიერებას. ხშირად ეს ნივთიერება იკრიბება განსაკუთრებულ პარკებში. თუ კანს ქვეშ მოიქცევა შხამი, ის იწვევს დაავთმყოფებას და ხშირად სიკედილსაც.

სულ ყველა ცნობილ შხამიან ცხოველებთა შორის უსაშიშრესად ითვლება გველის ზოგიერთი მოდგმა. ხოლო ყველა გველი როდია შხამიანი, მათ შორის სრულიად უნებიც ურევიან, როგორც, მაგალ., ჩვენესური გველ-ხოკერა შხამიან გველთაგან ევროპაში ცხოვრობს ორი ჯიშის მაისის გველი, აფრიკაში რქოსანი და ასპისი ანუ ნაია; აზიაში სათვალთან გველი ანუ კობრა-დე-კაპელა. აესტრალიაში სიკ.



მაისის გველი.

ვდილის გველი; ამერიკაში—კროკლი ანუ ელარუნა გველი; მარტინიკის კუნძულზე—კუფვა. ეს შხამიანი გველები მეტად

ცნობილნი არიან. ვთქვათ რამდენიმე სიტყვა თვითურთ მათგანზე.

მაისის გველი ძალიან გავრცელებულია ევროპის სოფლებით ადგილებში. წელიწადი ისე არ გავა, რომ ამ გველში ვინმე არ იმსხვერპლოს. მაინც მაისის გველის დაკბენა იშვიათად იწვევს მოწითული კაცის სიკვდილს, ბავშვები და მოხუცი დედაკაცები კი ხშირად იხრებიან.

ალეირის რქოსანი და განსაკუთრებით ასპისი და სიკვდილის გველი გაცილებით უფრო საშიშია ჩვეულებრივ მაისის გველთან შედარებით. კიდევ უფრო საშიშია სათვლიანი



სათვლიანი გველი.


გველი, რომლის დაკბენა თითქმის ყოველთვის იწვევს სიკვდილს. და რადგან სათვლიანი გველი მეტად გავრცელებულია აზიის ცხელ ნაწილებში, ამიტომ ყოველ წლებით ამ გველისაგან დახოცილ ადამიანთა რიცხვი საოცრად დიდია.

ამ საძაგელ არსებას სათვლიანი დაარქვეს იმიტომ, რომ თავზე აქვს შავი წინწყლი, ხოლო კობრა-დე-კაპელია, იმიტომ რომ, როცა ჯაფრობს, კისერი ეგუღება. ასპისსაც აქვს იგივე ჩვეულება.

ელარუნა გველს იმიტომ ეძახიან ასეთ სახელს, რომ მას კულის ბოლოზე აქვს რქის ფირფიტები. როცა გველი გაჯავრებულია, ამ ფირფიტებს ამოძრავებს, რითაც იწვევს ხმაურს.

ბას, თითქო ელარუნებსო. რადგან გველი ასე აელარუნებს და მასთან ზანტათ მოძრაობს, იმიტომ აღამიანი მას აღვილად და-

ერქონსული
ნივლირთხეა



ელარუნა გველი.

ახწევს თავს. მაგრამ ამ გველის დაკბენას მოსდევს თითქმის უეცრივი სიკვდილი. კუფეაც ბევრ ზანგს ღუპავს მარტინიკის კუნძულზე. უმეტესად შაქრის ლერწამის პლანტაციებზე.

გველის შხამი მუშავდება პატარა ჯირკვლებში, რომელნიც მოქცეულია თვალის უკან. ამ პარკებთან შეერთებულია



გველის საშხამე მოწყობილობა.

ორი მილიანი კბილი. როცა გველი ცხოველს უკბენს, კბილებს დააწეება, კბილებიც პარკს მიაწეებიან, შხამი გამოედინება, ჩამოჰყვება მილს და აქედან ჩართვის კრილობაში სისხლს. იმიტომ შხამიანი გველის ნაკბენი ჰგავს ქინძის თავის ორჯერ ნაჩხვლევტს. რაც შეეხება გველის ენას, იმისი ტყუილად ეშინია უბრალო ხალხს. ეს ბოძალა ენა რბილია და არავითარი ვნების მოტანა არ შეუძლიან. ზოგიერთ ხელიკებსაც აქვს ასეთი ენა, მაგრამ ისინი შხამიანი არ არიან, ისევე ითქმის ზღოკვზე, რომლისაც ძალიან ეშინიათ ზოგიერთებს.

გომბიოვო? იკითხავთ. იმის შესახებაც ხომ ბევრი ცუდი უთქვამთ. შხამიანია ის?—დიახ.—შეუძლია რაიმე ვნება მოგვიტანოს? არა როგორ შევათანხმოთ ეს?

შეხედეთ ამ გომბიოს. რას ხედავთ მასში? ^{უარყოფითი} მხინჯიაო, ამბობთ თქვენ. ეს გემოვნების საქმეა. შესაძლოა, რომ ისიც თავის მხრივ ამნაირადვე ფიქრობს თქვენს შესახებ. ხედავთ მის ზურგზე და განსაკუთრებით კისერზე შეკვებებს? აი ესენი ჯირკვლებია, რომელნიც გამოიცილებენ შხამიან სითხეს.

გალიზიანებული გომბიო თვალებს უკან მოთავსებულ ჯირკვლებიდან გამოიცილებს სქელ, ცხარ სითხეს. თუ ამ სითხეს შევკრებ მე ნესტარის ბოლოზე და შემდეგ ამ ნესტარით ვუჩხვლევტ ქათამს ან კურდღელს, ისინი მალე დაიხოცებიან. ამის შესახებ იმასაც ამბობენ, თითქო სამხრეთ ამერიკის ველურები სარგებლობენ გომბიოს ამ თვისებით, ჩამოჰკადებენ მას ცეცხლზე და ამნაირათ აიძულებენ გამოიცილოს შხამი. გამოყვანულ შხამს შეუშვერენ რამე კურკელს. ამ შხამით სწამვლენ ისრებს.



სამხრეთ ამერიკის ველურები გომბიოსაგან შხამს შოულობენ ისრების მოსაწამლავად.

გომბიო სრულიად უვნებია, მიუხედავად იმისა, რომ მას შხამი აქვს. ეს იმიტომ რომ მას არ აქვს შესაფერი ნარალი, რომ მის შემწეობით შეედლოს თვისი შხამი მტერს გადასცეს; მას არ აქვს ამისთვის მოწყობილი არავითარი ორგანო.

მაშ რაღად უნდა მას შხამი? მაისის გველი შხამით აფრთხობს მტერებს და ხოცავს მსხვერპლს, რაღას შერება გომბიო? გამოვარკვიოთ ეს კითხვა პატარა ცუის შემწეობით. ხედავთ იატაკზე გომბიოს!

წაუსისებ მას ჩემ ტრეზორს. ტრეზორი ჰყუფეს, ბრუნავს მის გარშემო, წყმუტუნებს, ცდილობს დაარტყას თათი, წარა თავის დღეში არ უკბენს, ის უკვე გამოცდილია. ახალიგაზრდობაში, ალბად, ჩვენმა ტრეზორმა დაავლო პირი გომბიოს და აქამდის ახსოვს, რა ძვირად დაუჯდა მას ეს სიამოვნება და როგორ ეწვოდა ამის შემდეგ ხახა. ამნაირად შხამი გომბიოს იცავს მტაცებლებისაგან. ეს საცოდავი უვნებელი და თითქმის სასარგებლო ცხოველია, რადგან ხოცავს ლოქორიებს და სხვა და სხვა მწერებს. იგივე შეგვიძლია ვთქვათ წინწყლებიან სალამანდრის შესახებ, რომელიც ცხოვრობს ქვებს ქვეშ. იმის უფრო მეტი ეშინიათ ვიდრე გომბიოსი, მაგრამ სრულიად უსაფუძვლოდ, ტრიტონები (უნახავი), ანუ წყლის სალამანდრები იმდენადვე უვნებნი არიან.



ობობას პირი შხამიანი ჩანგლებით.



შორიელი.

ძუძუიანთა, ფრინველთა და თევზთა შორის არ მოიპოვება არცერთი შხამიანი არსება. პირიქით, ობობები სულ

ყველა შხამიანებია. მათი ჩანგლები, რომელთა შემწეობით ისინი სსხვლეტენ პატარა მათ სასაზრდოვო ცხოველებს, მოთავსებულია პირთან. იგივე ითქმის მრავალფეხებზე.

მორიელეს შხამიანი ჯირკვალის აქვთ კუდის ბოლოზე, რომელიც მოკაუჭებული აქვთ. მწერებში შხამიანია: ფუტკარი, ბზიკი, კრაზანა, მიწის ბზიკი და სხვ. იმათ ჩვეულებრივად მუცელთან დამალული აქვთ ბასრი საწერტელი, რომელსაც გამოაჩენენ, როცა მტრის კბენა უნდათ. ფუტკარს საწერტელი ხერხივით აქვს აკიბული, ასე რომ კბენის შემდეგ, ამოღებას ვეღარ ახერხებს და სტოვებს კრილობაში. სხვა მწერები—ბაღლინჯოები, რწყილები, კოლოები შხამს გამოასხამენ თავისებური აპარატით, რომელიც მოწყობილი აქვთ პირის წინ. ამავე აპარატით ისინი წუწნიან იმ ცხოველის სისხლს, რომლითაც იკვებებიან.

ჩვენ ეხლა დაახლოვებით ჩამოვთვალეთ სულ ყველა უმთავრესი შხამიანი ცხოველები. არც ერთი მათგანი, გველს გარდა, დიდად საშიში არ არის ადამიანისათვის, თუმცა რამდენიმე მაგალითს ასახელებენ, როცა ცხელ ქვეყნებში მორიელის და მრავალფეხას კბენამ გამოიწვია სიკვდილი. ფუტკარი და ბზიკი ხშირად საშიში არიან. ერთი ახირებული თვისებათაგანი შხამისა ისაა, რომ ის უვნებია, თუ გადაყლაპავთ. შხამი მოქმედობს, როცა ის პირდაპირ შედის კანს ქვეშ, ერევა სისხლს. ეს საყურადღებო ფაქტი იმითაა კარგი, რომ ნებას გვაძლევს გველის ნაკბენი მაშინვე გამოვწუწუნოთ, რადგან შხამის გადაყლაპვის სრულიად არ უნდა გვეშინოდეს. საფრთხილია მხოლოდ პირში გაკაწრული ადგილი არ გვქონდეს.

ამნაირად თუ ადამიანს უკბინა გველმა, ჯერ უნდა გამოვწუწუნოთ ნაკბენი, შემდეგ მაგრად გადავკრათ ნაკბენი ადგილი, რომ ამით შევადფერხოთ შხამის გავრცელება და ბოლოს დავწვათ ძალიან გახურებული წინდის ჩხირით.

ის აზრი, ვითომ ნიშადურის სპირტით შეიძლებოდეს გველის ნაკბენის მორჩენა, უსაფუძვლოა.

მე ამაში დავრწმუნდი შემდეგი ცდის შემწეობით. საათის შუშაზე დავასხი მაისის გველის შხამის წვეთი, შევეჯერე მას რამდენიმე წვეთი მაგარი ნიშადურის სპირტისა, *მარჯაღი* რაე და გავაშრე. მერე ეს შხამი აეუტარი ქათამს. აღმოჩნდა, რომ ის ისევე ჩქარა ჰკლავს ქათამს, როგორც იმ შემთხვევაში, როცა არაფერი ურევია. აქედან ცხადად ჩანს, რომ ნიშადურის სპირტს არაფერი მნიშვნელობა არ აქვს გველის ნაკბენის აქიზებაში. პირიქით ის ძალიან შევლის იმ შემთხვევაში, როცა გვიკბენს ფლტკარი. თუ რატომ მოქმედობს ასე ნიშადურის სპირტი, ამის ახსნა შორს წაგვიყვანს.

ის ცხოველები, რომელნიც სქამენ ადამიანს, ან იკვებებიან მისი ხარჯით, ესე იგი სწოვენ მის სასხლს ან და ისინი, რომელნიც მას მოწამვლენ თავისი შხამით, პირდაპირ ვნებას აყენებენ ადამიანს.

არიან ასეთი ცხოველებიც, რომელნიც გვავენებენ არა პირდაპირ, განით, თავს ესხმიან იმ ცხოველებს და მცენარეებს, რომლებითაც ჩვენ ვსარგებლობთ სხვა და სხვა მიზნისთვის, ან და აფუქებენ ჩვენი მრეწველობის ნაწარმოებს, როგორც, მაგალითად, ჩვენ ტანისამოსს, ავეჯეულობას და სხვა.

ასეთი ცხოველები ურიცხვია და ყოველ ფეხის გადადგმაზე წავაწყდებით მათ.

ჩვენი შინაური ცხოველების მტერები იგივე მტაცებლებია, რომელნიც ჩვენ პირდაპირ გვავენებენ. კვერნა სქამს ჩვენ ქათმებს; კისტიცერკი, ანუ ბუშტოვანი ქია იწვევს ცხვრების ავადმყოფობას (თავბრუ), იგივე ავადმყოფებს ლორებს. ჯილეხის ბაქტერიები მუსრს ავლებენ ცხვრებს; თავგები და ვირთაგვები ღრღნიან და აფუქებენ ბევრ ნივთებს. მინდურის თავგები აფუქებენ პურსა და საოცრად მრავლდებიან. 1822 წელს საფრანგეთის ერთ კანტონში — სავერნში დახოცეს ორი მილიონი თავგი.

თვითეულს ჩვენთვის სასარგებლო მცენარეს ჰყავს თავისი მტერი — უმეტესად მწერები. — ვაშლს და სხვა ხეხილებს ემტერება რამდენიმე მოდგმის ჰეველა რომელიც მოგვაგონე-

ბენ ჩრჩილს. ბუჩქებს ძალიან ავნებენ ფოთლის ბზიკის მატლები, ვენახის მტრებში უნდა დაეახებოთ ვენახის ჰეპელა და ვაზის ფოთოლმკამელა. მაგრამ უსაზრწელეს მტერი ვაზისა



ფრთა შესხმული ფილოქსერა. პირველი—შამალი, —მეორე დედალი, მათ ქვეშათ დაზოცილა ფილოქსერისაგან დასნეულებული ვაზის ფესვები.

არის ფილოქსერა. ის სწოვს წვეწვან ვაზის პაწაწა ბეწვებისაგან, ფშოლოებისგან, ამრსვამო ვაზს საზრდოობა აღარ შეუძლია და ხმება. ფილოქსერა ევროპაში გადმოვიდა ამერიკიდან. 1881 წელს საფრანგეთის სამხრეთ და დასავლეთ ნაწილებში ააოხრა ათასობით დღიური ვენახი. ეხლაც ვრცელდება ის შვეიცარიისა, იტალიისა და ისპანიაში. გადმოსახლდა საქართველოშიც და მეტად დააზიანა ვენახები. ფილოქსერა სულ ყველა მწერებში, რომელთანაც აღამიანი ებრძვის, უფრო მავნეა. ეკვი არ უნდა გვქონდეს, რომ ოდესმე მას ბოლო მოეღება, აღამიანი დასძლევს, მაგრამ სანამ ეს იქნება, მანამდი ხომ გავვანაღვურა.

ჩემს სიცოცხლეში ვერ გავათავებდი ყველა იმ მწერების არამც თუ აწერას, ჩამოთვლასაც, რომელნიც მავნე არიან მცენარეებისათვის. არაა მცენარე, რომლის ფოთოლს არ სკამ-

დნენ მუშაობები, ტანს არ ღრღნიდნენ რაიმე მატლები და ნა-
ყოფს არ კამდნენ რომელიმე კიები.

თეთრი მუხლუხო, რომელიც არის ცოფის ქიის მატლი,
სკამს საკვებ ბალახების ფესვებს; მახრა ღრღნის მწვანე იღებს



მახრა.

ფესვებს; ქერქისკამია—ტოპოგრაფი ჩვენი ტყეების ხეებში
აკეთებს ურიცხვ ხვრელებს, რის გამო ხეები ღებებიან.

იმ მწერებს გარდა, რომელნიც მაინც და მაინც არაფერს
იწუნებენ, ან და საკმელს ძალიან არ ირჩევენ, არიან ისეთი
მწერებიც, რომელნიც ცხოვრობენ მხოლოდ რომელიმე გან-
საზღვრულ მცენარეზე და მართო იქ იკვებებიან. რა ხშირია
ვაშლის, მსხალის და ქლიაფის კიები ნიგოზიც კი მიუხედავად
მისი მაგარი ღენქოსი არაა დაუღლი კიებისაგან. ნიგოზის
მკამელი ცხოველი თავის დღეში არ სკამს ვაშლს, მსხლის
მკამელი კია ცხოვრობს განსაკუთრებით ხორცაან და თესლიან
ნაყოფებში.

ვაშლის ხის ტოტებზე და ფესვებზე ჩნდება ტყავაშეში,
რომელთაც თეთრი ფერი ადევთ ბალახის ტილების სიმრავლი-
საგან. ამ ტილებს ეძახიან მატყლოვანებს, ისინი მხოლოდ
ვაშლის ხეზე ცხოვრობენ. მეტად საყურადღებოა და მასთან
სასარგებლო მანე მწერების ცხოვრების შესწავლა. როცა
გვეცოდინება, სად სდებენ კვერცხებს ეს მანე არსებანი და
სად ატარებენ ზამთარს, მაშინ შეგვიძლია სრულიად მოვსაოთ
ისინი. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად, საჭიროა ისინი ადგი-
ლობრივ შევისწავლოთ. იგივე შეგვიძლია ვთქვათ იმ მწერებ-
ზე, რომელნიც ღრღნიან ხეებს, ახდენენ ქსოვილებს და ბეწ-
ვეულობას და სხვა. ჩრჩილის მატლები და ტყავის მკამელი

ქიები მეტად საშიში მტრებია. რაღენი დაწერილა მათ შესახებ სპეციალურ წიგნებში. გარდა ამისა თქვენ თვითონ შე-



ჩრჩილის პელები: ნახის ჩრჩილი, მეორე—ბეწვეულობის ჩრჩილი.

გიძლიათ იმათ ცხოვრებას დაუკვირდეთ. ეს ყოველ შემთხვევაში გაცილებით უფრო საინტერესო და სასარგებლო იქნება, ვიდრე მარტო მათი ამბების წაკითხვა.

აქ აგიწერთ მხოლოდ სამს მეტად მავნე მწერს, ესენია—კალია, ხომალდის ხის მღრღნელი და ტერმიტის, რომელთა შორის ხომალდის ხის მღრღნელი ორ ჯამიანი მოლუსკია, ორი დანარჩენი კი მწერები. კალია ნამდვილი ღვთის რისხვაა სამხრეთის და აღმოსავლეთ სამხრეთის მინდვრებისათვის. ის მოფრინდება თავის საბუნავოდან დიდ გუნდებად. ეს გუნდები იმდენად მრავალ რიცხოვანია, რომ მხეს ღრუბელივით დაჰფარავს. გუნდი ჩქარა დაეშვება მიწაზე, შექამს რაც კი იქ მცენარეულობაა რამდენიმე დღეს, შემდეგ იხოცება და აყროლებს ჰაერს და წყალს. ის კიდევ არაფერი. უედღურობა ისაა, რომ ამ დროს ყოველი დედალი სდებს მიწაში ასოდე კვერცხს ამ კვერცხებიდან გამოდიან უფრო, კუტი კალიები, რომელნიც უთვალავი ჯოგით გაემგზავრებიან საზრდოს საძებნელად და სკამენ გზაში ყოველ ნათესს, ხის მაგარ ქერქსაც არ დაზოგავენ. რომ ცოტაოდნად წარმოიდგინოთ კალიის გუნდის სიდიდე, მოვიყვან ერთ მაგალითს. 1874 წელს ალჟირში გამოჩნდა კალიის ერთი გუნდი, რომელიც გაქიმული იყო 30 ვერსტის სიგრძეზე, განზე კი ეკირა 5 ვერსტი. ამ მწერების სიმძიმე შეადგენდა ნახევარს იმ სიმძიმისას, რასაც მოიწონდა ალჟირის სულ ყველა მცხოვრებლები ერთად აღებული.

რა უნდა გააწყო ასეთ გუნდებთან? რა საკვირველია, უაზრო იქნება სათითაოდ შათი ხოცვა: ამას ერთ წელიწადსაც ვერ მოარჩებთ. კალიებს გადაუდგმენ წინ ტილოების გრძელ ნაკრებს და ამნაირად ჩარეკენ დიდ ორმოში. აქ ამით სწვენ, სკულეტენ და შარბვენ.

ხომალდის ხის მკამელა არის ზღვის ლოქორია, ჰგავს კიას. ერთ ბოლოზე აქვს პატარა ხამანწყა, რომლის შემწეობით წყალში ხერეცს ხომალდის ფიცრებს, სათავენებს და ამნაირად მეტად ადრე ანგრევს მათ.



ტერმიტები: პირველი—მხედარი, მეორე მუშა, მესამე—მამალი.

ტერმიტების ცხოვრება საკმაოდ რთულია. ეს მწერები ცხოვრობენ კოლონიებად, ესე იგი საზოგადოებებად, რომელიც შემდგარია ერთმანეთისაგან საგრძნობელად განსხვავებულ წევრებისაგან. ეს წევრებია: დედლები, რომელნიც სდებენ კვერცხებს, მხედრები, რომელთა მოვალეობაა დაიცვას თავისი კოლონია მტრებისაგან, და მუშები, რომელნიც უშზადებენ იმათ ბინას და საზრდოს. ეს უკანასკნელები არიან ჩვეთვის მანე-აფრიკის ტერმიტების ზოგი მოდგმები იკეთებენ თავისთვის დიდ ბუდეებს, სადაც ცხოვრობენ მთელ საზოგადოებებად. ისინი, რა საკვირველია, უვნებელი არიან. სხვა მოდგმები კი თავის ბინას აკეთებენ ჩვენი შენობების ხის ნაწილებში, ღრ-

ღნიან მათ შიგნით და ამნაირად სრულიად ანგრევენ. საფრან-
გეთის სამხრეთ ნაწილის ზოგიერთ ქალაქებში ტერორები,
რომელთაც იქ ეძახიან კიანკველებს, ხშირად ანგრევენ შე-
ნობებს და ღრღნიან მაგარ ყუთეში ჩაკეტილ არხივების ქა-
ლალდებს.

მაგრამ შეეჩერდეთ აქ მავნე ცხოველების შესახებ. წი
ნააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მეტად დიდი დრო დაგვჭირდება
პარტო მათ ჩამოსათვლელად.

თავი მეთოთხმეტე

სასარგებლო ცხოველები.

ჩვენი ქვეყნების უპირატესობა. საკმელად გამოსადეგი ცხო-
ველები. ძუძოსნები, ფრინველები, თევზები და სხვ., ბევრია-
ნი ცხოველები. ცხოველთა გამონაჩენი, რომელიც იზარება
საფუფუნოდ, მრეწველობაში და საექიმოდ. მტარტმანი ცხო-
ველები. მწერის მკამელნი, რომელნიც ხოცვენ ჩვენ მტრებს,
ვეშაპი.

ჩვენ საკმაოდ ვილაპარაკეთ ჩვენს მტრებზე. ახლა ცოტა
ჩვენს მეგობრებზედაც ვთქვათ რამე.

ბევრი ზარალი მოაქვს ადამიანისთვის მავნე ცხოველებს.
მაგრამ ჩვენთვის, ზომიერ ჰავაში მცხოვრებთათვის, ეს ზარალი
საგრძნობელი როდია. ზომიერ ჰავაში თავისუფლად შეგვიძლია
გავისერიწოთ ჩვენს ტყეებში, ვითევზაოთ წყლებში და უღარ-
დელად მ ვისვენოთ შინა. მგელს უფრო ჩვენი ეშინია, ვიდრე
ჩვენ მგლისა. შხამიანი გველი კი ჩვენში ძრიელ იშვიათია.
სულ სხვაა ქებული ტროპიკული ქვეყნები, რომელთა სილა-
მაზით ასე გოაცებულია ქვეყანა. მართალია, მცენარეულობა
იქ მეტად მდიდარია, ყვავილები საოცარა სილამაზის, ფრინვე-
ლები ფე' აღ-ფერადი ბუმბულით მოკაზმული, — გვეგონებათ, სა-
მოთხეაო. მაგრამ აბა, წამოზრძანდით საცხოვრებლად ამ სა-
მოთხეში. მაშინ დაინახავთ, რომ ყოველ ფეხის გადადგმაზე

თქვენი სიცოცხლე განსაცდელშია. თუ თქვენს ეზოს ღერ-
წამიანი ადგილები აკრავს, ყოველ წუთში უნდა მოველო-
დეთ უდიერი მხეცის — ვეფხვის გამოვარდნას: დაგველოებო
კლანქებს თქვენი მეგობრების თვალწინ და სიცოცხლეს მო-
ვისწრაფავთ. მდინარის ნაპირას ხვითქის უნდა გეშინოდეთ.
ნაკადულთან, რომელიც პაპანაქება სიცხეში მონახეთ, შეიძ-
ლება თავს დაგეცეთ მარჩობელა გველი და სიცოცხლე მო-
ვისწრაფოთ. ყოველ წუთში შესაძლოა დაგეცეთ გარეული
ან გაცოფებული სპილო, ან მარტორქა. თქვენ ფეხ ქვეშ
დაგლინავს ათას გვარი გველი — აქ ელარუნა, იქ სათვალისანი,
იქით კიდევ კუფეა. ეს საშინელი არსებანი მარტო მიყრუებულ
ტყეში არ გვეგონათ. ისინი შემოცოცდებიან თქვენ ბალშიაც,
სახლშიც, ოთახშიც, თქვენ ლოგინსაც არ დაერიდებიან. ყო-
ველგან მოფენილია მორიელი, მრავალფეხა, ღამე კი დანავარ-
დობს უთვალავი ბზიკი. თვალ-წარმტაცი სანახავია ეს ტრო-
პიკული ტყეები და მინდვრები, მაგრამ დამერწმუნეთ, ჩვენი
ზომიერი ქვეყნები ბევრად სჯობია ამ თვალ გადუწვდენელ
სიმშვენიერეს. აქ თავისუფლად, უშიშრად მაინც გძინავთ და
დადიხართ.

არ გვეგონათ, რომ მე გადაქარბებული ვთქვი რამე. ინ-
გლისის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ 1875 წელს ინდოეთში
გველებს დაუხოცავთ 25946 ადამიანი, გარეულ მხეცებს შეუ-
კამიათ 2,275 კაცი, რომელთაგან 917 კაცი წილად ვეფხვს
რგებია. ამავე წელიწადს დახოცეს 23,459 გარეული მხეცი და
212,370 გველი, რაისთვის სასყიდლად მთავრობამ 100,000
მანათი გასცა. კიდევ ვიმეორებ, დავანებოთ თავი ამ მავნე
ცხოველებს. უკეთესია, იმათ მივატყუოთ ყურადღება, რომელ-
ნიც ჩვენთვის სასარგებლონი არიან.

შინაური ცხოველისა ჩვენს განკარგულებაშია ღონე,
ხორცი, ტყავი, მატყლი, ბუმბული. მაგრამ შინაურ ცხოვე-
ლებს საკმარისად ვიცნობთ. ამიტომ ახლა შევეუდგეთ გარეულ
ცხოველების გაცნობას, იმ ცხოველების, რომელთა გაშინაუ-
რება სრულიად შეუძლებელია ან და ჯერ კიდევ ვერ მოუ-

ხერხებია ადამიანს, რისგამო ამ ცხოველებს ჩვენ ეწოდებოდათ ნადირობით. რომ მომენდომებინა ყველა იმ ცხოველების აწერა, რომელთაც ადამიანი საქმელად ხმარობს, ვგონებ, ჩემს დღეში ვერ გავაიაყვებდი. საზოგადოდ ადამიანი თითქმის ყოველ ცოცხალ არსებას სჭამს, წარმოიდგინეთ, თვით ადამიანსაც კი ადამიანის მკამელ კაცს ანტროპოფაგი ჰქვია (ანტროპოს ბერძნულად ნიშნავს ადამიანს, ფაგო—ჭამ). დღეს ანტროპოფაგი იშვიათია. მაგრამ ძველ დროში, როცა ჯერ კიდევ არ იცოდნენ ხენა-თესვა, კაცის მკამლობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. შემდეგ გამოიგონეს ხენა-თესვა და, თუ ადამიანი თავის მტერს დაიკერდა, კი აღარ შესჭამდა, დაიშინებდა, გუთანს მიუყენებდა და ამუშავებდა. ამნაირად კაცის მკამლობა თანდათან გადავარდა და საზიზღარ მოვლენადაც ეჩვენება დღევანდელ ადამიანს. დღეს მხოლოდ აქა-იქ მეტად მიყრუებულ აფრიკის კუთხეებში და პოლინეზიის ზოგიერთ კუნძულებზე კიდევ დარჩენილია ველური ხალხი, რომელიც ადამიანის ხორცს არ ერიდება.

თუმცა იშვიათია ისეთი ცხოველი, რომელიც ადამიანის კუჭს ასცდენოდეს, მაგრამ ხორცის მკამელი ძუძოსანი და მტაცებელი ფრინველები კი თითქმის არსად არ იხმარებიან საქმელად. მათი ხორცი უხეშია, ძარღვებიანი და უგემური.

ხორცისთვის ადამიანი უმეტესად ეტანება ორჩლიქა ბალახის მკამელ ძუძოსანთ: ბიზონს, ირემს, შველს და მორღნელთ—კურდელს, ხოლო ავსტრალიაში—კენგურუს. ფრინველთაგან ეტანება ქათმის ჯიშის სხვა-და-სხვა წარმომადგენელთ: ხოხობს, კაკაბს, მწყერს, როქოს და სხვებს, ზოგიერთ ქაობის ფრინველებს, როგორც, მაგ., ცხრა-ტყავას, იხვებს და ბევრ წვრილმან ბელურას ნათესავ ჩიტებს, მაგ., მწყერ-ჩიტას, ტოროლას და სხვ. ადამიანი ეძებს არა მარტო ფრინველებს, არამედ მათ ბუმბულს და კვერცხებსაც. აი, მაგალითათ ფარალიონის კუნძულებზე კალიფორნიის ახლო, აგროვებენ პინგვინის და მეოლიას უთვალავ კვერცხებს. ერთი წლის განმავლობაში სანრანცისკოში გაყიდეს 180,000 კვერცხი. ჩინელი სა-

ზოგადოდ აზიარებული, თავისებური გემოვნების კაცია. შისი საქმური საქმელია ერთი მერცხლის, საღანგანას, ბუდე.

ეროვნული
ბუნებისმეტყველება



ფარალიონის კუნძულზე კვერცხებს აგროვებენ.

შგლინავთ და ქვეშრომთ ნაკლებად სქამენ. მხოლოდ ზოგ ადგილას მადიანათ შეექცევიან ხვითქებს, მოზრდილ ხელიკებს და გველებს. ამ ცხოველებს გაცილებით ამჯობინებენ კუს, დიდ ზღვის კუს. ეს კუ სდებს კვერცხებს ზღვის ქვიშიან სწორ ნაპირებზე. აურაცხელ კვერცხებს აკრეფენ ხოლმე და გზანიან ქვეყნის ყოველ კუთხეში, სადაც მათ დიდი გასაქალა აქეთ. თვითონ კუსაც უდარაჯებენ ნაპირებზე, დაუგდებენ კეტს და ზურგზე გადააბრუნებენ. აზის შემდეგ რამდენიც უნდა ეწვალოს ცხოველი, აღარ შეუძლიან გადმობრუნება და ზღვაში დაბრუნება.

ევროპაში ბევრი კუჭის მოტრფილად შეექცევა ბაყაყებს. მექსიკანელებს ძლიერ უყვართ ერთი ჯიშის ქვეშრომი, რო-

მელსაც ჰქვიან აკსოლოტლოში, იქაურ ტბებში ცხოვრობს და საოცარი სიადვილით იტანს ევროპის ჰავასაც.

თევზი ერთი უმთავრესთაგანი მკვებავი წყაროა სადაშიანისათვის. თითქმის ყოველი ჯიშის თევზს ხმარობენ საკმელად, გარდა მეტად წვრილი ლიფსიტებისა. ზოგი თევზი კი ძლიერ გემრიელ საკმელად ითვლება.

მდინარის თევზებში ყველა თქვენგანს ეცნობება ქარყლაპია, ქორჩილა, ქანარი, კალმახი და სხვები. ისიც გეცოდინებათ, რომ ეს თევზები ან თავისუფლად დასეირნობენ მდინარეებში ან და დამწყვდეული არიან განგებ მათთვის მოწყობილ გუბებში. ეს თევზები თითქმის არაფრით არ არიან საყურადღებო. უფრო საყურადღებოა გველთევზა რომელიც, როგორც ერთხელ უკვე გითხარით, ქვირითს ზღვაში ყრის. შემდეგ მდინარეების შესართავში უეცრად გაჩნდება ამ ქვირითიდან გამოჩეკილი პატარა გამჟვრვალი, ორი-სამი გოჯის სიგრძე თევზები. ასეთი თევზები უთვალავი მილიონია. მათ იჭერენ კალათებით. ეს ქიის შზგავსი თევზები, სად არ გინდათ, რომ არ დასურავდნენ, ზოგი მათგანი აპყვება მდინარეს ზევით, ზოგიც — პაწაწა ნაკადულეებს, ხანდახან სულ ნაპირებზედაც გამოვა და რამდენიმე საათს ბალახში დაგლინავს. ამ ნაირად ჩნდება ჩვენ მდინარეებსა და ტბებში გველთევზა. მე უკვე ავიხსენით, თუ როგორ ისარგებლეს კამოჩიოში გველთევზას ასეთი ზნით, წესიერად ამრავლებენ და დროზედაც იჭერენ.

ორაგულის ამბავი კიდევ უფრო საყურადღებოა. ქვირითის დასაყრელად ორაგული შეპყვება მდინარეს ზევით-ზევით. მესამე წელიწადს გამოჩეკის შემდეგ ახალგაზრდა ორაგული ჩაპყვება მდინარეს და მიეცემა უფსკრულ ზღვას. შემდეგ ყოველთვის, როცა ქვირითის დაყრის დრო მოუვა, ხელახლა გაჩნდება მდინარის შესართავთან და ნელ-ნელა აპყვება იქითკენ, სადაც გაატარა თავისი სუბაწვილი. დაყრის ქვირითს და ხელახლა გაემგზავრება ზღვისკენ. ორაგული უმეტეს თავის